ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 4 თებერვალი, 2011 №29 (5414) ფასი: 30 თეთრი

## ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 6 წელი გავიდა

გვ.2



# რა უჯდება საქართველოს სააკაშვილის პიარი

ამერიკამ ჩვენი ხელისუფლების საიდუმლო გასცა გვ.2



## პარტიები არჩევნებისთვის მზად არ არიან

გვ.3

გადამდელ არჩევნებს ხელისუფლება მოიგებს



## სააკაშვილმა აღიარა, რომ ოპოზიციის ეშინია

გვ.4

პრეზიდენტი განსაკუთრებით საშიში დამნაშავეა

# მინისტრები საჩუქრებს ველარ მიიღებენ

გვ.2



## საქართველოში 23 300 პატიმარია

გვ.5

## ხელისუფლება ინფლაციის ხელოვნურ სტიმულირებაში დაადანაშაულეს

გვ.5



## ვის გადააბარებს სააკაშვილი ხელისუფლებას

გვ.7

რას მოგვიტანს მ  იმე ეკონომიკური ვითარება



## რუსეთის გარდა სხვა მეგობრები არ გვყავს



გვ.7

## რუსეთის ხელისუფლება საქართველოსათვის სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას გეგმავს

გვ.5

## სახალხო კრება ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას აპირებს



გვ.6

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**2** ვარკეთილში საცხოვრებელი კორპუსის ლიფტში მიტოვებული ახალშობილი იპოვეს

**9** რუსებმა გაგვშიფრეს და არ გვეხუმრებიან

**5** ტყიბულში მაღაროელთა გაფიცვა შეწყდა

**9** ვასილ გიგიაძე მწვრთნელობას ჯერ არ აპირებს

# რა უჯდება საქართველოს სააკაშვილის პიარი

## ამერიკამ ჩვენი ხელისუფლების საიდუმლო გასცა

თეა მარხვაი ე

**ჩვენში არაერთხელ ატყდა ხმაური იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება ლობისტურ კომპანიებს ძალიან დიდ თანხებს უხდის. ამ ფაქტს არც ხელისუფლება უარყოფს. ჩვენს პრეზიდენტს არაერთხელ უთქვამს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს იმიჯის დამკვიდრებისთვის დიდი თანხები იხარჯება.**




იანვრის თვეში ჩვენი პრეზიდენტი ამერიკის პრეზიდენტს ბარაკ ობამას შეხვდა. ნაციონალებმა ამის გამო აგვიკლეს. ოპოზიციის მტკიცებით კი, ეს თანხა ძალიან დიდი ფული დაჯდა. ამასთან ექსპერტები ამტკიცებენ, რომ სააკაშვილმა და მისმა ამფსონებმა ობამა კორიდორში გამოიჭირეს.

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრ მანანა სალუქვაძის განცხადებით, გულმოდგინედ იმალება ის თანხები, რაც ჩვენი ხელისუფლების პიარისთვის იხარჯება.

ლობისტურ კომპანიებს სააკაშვილი გაპრეზიდენტებისთანავე ჩაეხუტა და ბლომად ფულიც გადაუხადა. ამ მიმართულებით ხელისუფლება განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ გააქტიურდა.

— საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“, მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყდნობით შეიძლება ითქვას, რომ დაქირავებული უცხოური ლობისტური კომპანიების რაოდენობა და, შესაბამისად, დახარჯული თანხების ოდენობა 2008 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. ცოტა ხნის წინ პრესით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2004 წლიდან 2010 წლის ბოლომდე საქართველოს მთავრობას ამერიკული ლობისტური კომპანიებისთვის, ხაზს ვუსვამ, მხოლოდ ამერიკული ლობისტური კომპანიებისთვის — 2.600.000 აშშ დოლარი აქვს გადახდილი. ამ თანხის ნახევარზე მეტი კი, 2010 წელს იქნა გადახდილი! საქართველოს მთავრობამ ისეთ ცნობილ ლობისტურ კომპანიებს, როგორებიცაა The Podesta Group, The Iftaca Group და Gephardt Group 1,306,800 ამერიკული დოლარი გადაუხადა. ამ თანხიდან ყველაზე მეტი, 600.000 აშშ დოლარი, The Podesta group-ს შეხვდა, რადგან სწორედ ამ კომპანიის დიდი ძალისხმევით შედგა აშშ-ს პრეზიდენტსა და სააკაშვილს შორის შეხვედრა ამა წლის იანვრის შუა რიცხვებში, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მანანა სალუქვაძემ.

მისი ინფორმაციით, ამ კომპანიასთან საქართველოს მთავრობამ ერთწლიანი კონტრაქტი 2010 წლის 12 იანვარს გააფორმა. აღნიშნული კომპანია ვაშინგტონში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კომპანიად ითვლება.

— კონტრაქტის მიხედვით, რომლის ღირებულებაც 600 ათასი აშშ დოლარს შეადგენდა, ლობისტური კომპანია ვალდებულებას იღებდა საქართველოს ხელისუფლებისთვის ლობირება გაეწია აშშ-ის კონგრესსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ასევე უზრუნველეყო საერთაშორისო მედიამომსახურება. ფირმის მიერ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტში წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მას ორგანიზება უნდა გაეწია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრებისთვის აშშ-ის კონგრესის და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებთან, — ამბობს სალუქვაძე.

სალუქვაძის ინფორმაციით, 2010 წლის იანვარშივე, საქართველოს მთავრობამ ამერიკელი, ყოფილი დემოკრატი კონგრესმენის რიჩარდ გეფჰართის ლობისტური ფირმა „Gephardt Group Affairs, LLC“ დაიქირავა. ამ კომპანიასთან ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება 436 800 დოლარი დაჯდა.

მანანა სალუქვაძის განმარტებით, ორივე კონტრაქტს საქართველოს ხელისუფლების სახელით ეროვნული უშიშროების საბჭოს იმდროინდელი მდივანი, ეკა ტყეშელაშვილი აწერს ხელს.

ლობისტური კომპანიებისთვის გადახდილი თანხები ჩვენთვის შესაძლოა ბოლომდე საიდუმლოდ დარჩენილიყო. ეს ინფორმაცია აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის წყალობით.

— საქართველოს მოსახლეობისთვის პიარ-აქციებისა და უცხოური ლობისტური კომპანიების მომსახურებაზე დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია ცნობილი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ აშშ-ის ხელისუფლება მკაცრად იცავს კანონს და თავს საკუთარი მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულად თვლის და ამერიკის ნებისმიერი მოქალაქისთვის მსგავსი ინფორმაცია სრულიად გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომია: აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ინტერნეტსაიტი ყველასთვის ღიაა. იგივე სიტუაციაა მსოფლიოს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში. საქართველოში კი, ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც „დემოკრატიულობის“ შირმას არის ამოფარებული, მსგავს თემებს ტაბუს ადებს. ხელისუფლებას არანაირად არ აწყობს დაანგრიოს მითი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მას მხარს უჭერს, ხოლო თუ რა თანხა ჯდება ეს „მხარდაჭერა“, რა ღირს ჩვენი ხელისუფლების ქმედებების „წარმოჩინება“ და უცხოელებისთვის „თვალებში ნაცრის შეყრა“, ეს ხალხმა არ უნდა გაიგოს, — განაცხადა სალუქვაძემ.

მანანა სალუქვაძის განმარტებით, ხელისუფლება ვალდებულია მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ როგორ იხარჯება მის მიერ გადახდილი თანხები.

— საქართველოს მოსახლეობას, რომელიც მიუხედავად უმძიმესი ეკონომიური თუ სოციალური გაჭირვებისა, იხდის გადასახადებს, აქვს ლეგიტიმური უფლება ზუსტად იცოდეს, თუ სად, როგორ და, რაც მთავარია, რა მიზნით იხარჯება მის მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხები! ეს უფლება უნდა გამოვიყენოთ და მკაცრად მოვთხოვოთ ხელისუფლებას, დაგვისახელოს და ზუსტად მიგვითითოს სახელმწიფო ბიუჯეტის რომელი კონკრეტული მუხლით არის გათვალისწინებული მსგავსი პიარ-აქციებისა და უცხოური ლობისტური კომპანიების მომსახურების დაფინანსება, — ითხოვს „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრი.

მისი განცხადებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ შეიქმნა მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსდა საქართველოს და ამერიკულ ლობისტ ფირმებს შორის დადებული როგორც მოქმედი, ისე შეწყვეტილი ხელშეკრულებები, დარეგისტრირებული აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მიერ უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტით.

მანანა სალუქვაძის თქმით, ამ ბაზაში მოცემული ინფორმაციით, საქართველოს მთავრობას უცხოელი ლობისტებისთვის 2.600.000 დოლარზე ორჯერ მეტი თანხა აქვთ გადახდილი.

მანანა სალუქვაძემ მოგვაწოდა იმ კომპანიების ჩამონათვალი, რომლთანაც საქართველოს ხელისუფლებას კონტრაქტი აქვს გაფორმებული. „ახალი თაობა“ გთავაზობთ ამ კომპანიების ჩამონათვალს.

**ეს კომპანიებია:**

„ორიონ სოლუშონსი“ — კონტრაქტის ღირებულება 800 000 აშშ დოლარი

დანიელ ედელმანი — 10.11.2004-31.12.2004. გასამრჯელო: 163 850 აშშ დოლარი. მიზანი: აშშ-ში მედია გაშუქების ხელშეწყობა; კომუნიკაციების გეგმის შემუშავება; გაეროში პრეზიდენტის ვიზიტის პერიოდში ინტერვიუების ორგანიზება; GBS-ის „60 წუთთან“ კონტაქტი; სტრატეგიული კონსულტაციის გაწევა და მესიჯის შემუშავება.

Orion Strategies LLG — 06.04.2004 - 11.05.2008. გასამრჯელო: 590 000 აშშ დოლარი. მიზანი: კონსულტაციის გაწევა, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარება, პიარი, ადვოკატირება აშშ-ში და ევროპაში, საქართველოს ნატოში გაწევრიანების ხელშეწყობა და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილება და საქართველოში განვითარებული პროცესების შესახებ აშშ-ს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირება.

„ასპექტ კონსალტინგი“ — 2007 წ. კონტრაქტის ღირებულება: 500 000 ევრო (დაახლოებით 690 000 აშშ დოლარი). მიზანი: ევროკავშირში და ნატოში საქართველოს გაწევრიანების ხელშეწყობა.

Glover Park Group, LLG — 22.08.2008-25.10.2008. კონტრაქტის ღირებულება: 200 000 აშშ დოლარი. მიზანი: პიარ-კონსულტაციები, კომუნიკაციები და აშშ-ს ფართო საზოგადოებაზე ორიენტირებულ მედიასტრატეგიის შემუშავება.

Orion Strategies LLG — 06.11.2008 - 31.12.2008. კონტრაქტის ღირებულება: 200 000 აშშ დოლარი. მიზანი: კონსულტაციის გაწევა, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარება, პიარი, ადვოკატირება აშშ-ში და ევროპაში, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ხელშეწყობა და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილება და საქართველოში განვითარებული პროცესების შესახებ აშშ-ს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირება.

Public Strategies Inc. — 05.03.2009 - 14.08.2009. კონტრაქტის ღირებულება: 300 000 აშშ დოლარი. მიზანი: მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა, დასავლეთის მედიის საშუალებით საქართველოს მთავრობის რეპუტაციის განმტკიცება.

Maniatis, Gregory A. — 10.02.2009 - 31.12.2009. კონტრაქტის ღირებულება: 231.000 აშშ დოლარი. მიზანი: საქართველოს მთავრობისთვის სტრატეგიული კომუნიკაცია, მათ შორის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრისთვის: გამოსვლების, ოპ-ედ-ების, სტატიების და შეფასებითი განცხადებების მომზადება იყო.

Kuin, Daniel Lous — 23.02.2009 - 31.12.2009. კონტრაქტის ღირებულება: 231.000 აშშ დოლარი. მიზანი: პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრისთვის: გამოსვლების, ოპ-ედ-ების, სტატიების და შეფასებითი განცხადებების მომზადება.

Orion Strategies LLG — 09.12.2009 - 18.01.2010. კონტრაქტის ღირებულება: 10000 აშშ დოლარი. მიზანი: საქართველოს ხელისუფლებისთვის კონსულტაციის გაწევა, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარება, პიარი, ადვოკატირება აშშ-ში და ევროპაში, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ხელშეწყობა და შესაბამისი კრიტიერიუმების დაკმაყოფილება, საქართველოში განვითარებული პროცესების შესახებ აშშ-ს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირება.

Glover Park Group, LLG — 26.01.2009 - 26.01.2010. კონტრაქტის ღირებულება: 360 000 აშშ დოლარი. მიზანი: პიარ-კონსულტაცია, კომუნიკაციები და აშშ-ს ფართო საზოგადოებაზე ორიენტირებული მედიასტრატეგია.

Public Strategies, Inc. — 17.08.2009 - 26.01.2010. კონტრაქტის ღირებულება: 237 000 აშშ დოლარი.

Gephardt Group Govenment Affairs, LLG — 22.01.2010 - 31.12.2010. კონტრაქტის ღირებულება: 436 800 აშშ დოლარი. მიზანი: ლობირება და სამთავრობო ურთიერთობების კუთხით მომსახურების გაწევა.

Maniatis, Gregory A. — 29.01.2010 - 31.12.2010. კონტრაქტის ღირებულება: 270 000 აშშ დოლარი.

The Rodesta Group — 12.01.2010 - 31.12.2010. კონტრაქტის ღირებულება: 600 000 აშშ დოლარი. მიზანი: ლობირება, მთავრობასთან ურთიერთობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და მედიამენეჯმენტი.

## ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 6 წელი გავიდა



გუშინ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 6 წელი გავიდა. ჟვანიას ოჯახის წევრები და ახლობლები დღეს საბურთალოს სასაფლაოზე მივიდნენ.

— რაც უფრო დიდი დრო გადის, მით უფრო მეტად ჩანს, რა მნიშვნელობა ქონდა ქვეყნისთვის ზურას, — ეს განცხადება ქადაგიძემ დიდუბის პანთეონში მეუღლის საფლავთან გააკეთა.

მისივე თქმით, ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვა არსებობს, რომლებსაც პასუხები ადრე თუ გვიან აუცილებლად გაეცემა.

— სერიოზულია შეკითხვები ზურას გარდაცვალებასთან დაკავშირებით და ამ კითხვებს პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს. მე ეჭვი მაქვს, რომ ვიდრე ეს ხელისუფლებაა, უბრალოდ, ეს მდომარეობა არ შეიცვლება, — განაცხადა ნინო ქადაგიძემ.

გუშინ ზურაბ ჟვანის მისი მეგობრებიც იხსენებდნენ. რეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ აღნიშნა, რომ ჟვანის სიკვდილი მისთვის და ქვეყნისთვის მოუშუშებელი ჭრილობა.

— 6 წელი გავიდა და ისეთი შეგრძნება მაქვს, ეს გუშინ მოხდა. სულ მიმყვება ტკივილი, რომ ჩემზე ადრე წავიდა ზურა ამ ქვეყნიდან, — აცხადებს ღოღობერიძე.

**ინტერპრესნიუსი**

## სამართალდამცავებმა ყოფილი პარლამენტარი თაღლითობისთვის დააკავეს

სამართალდამცავებმა ყოფილი პარლამენტარი ვასილ ჩიგოგიძე თაღლითობის ბრალდებით დააკავეს. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ჩიგოგიძეს თაღლითობის 180-ე მუხლის გარდა ბრალად ედება სს კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ყალბი დოკუმენტის დამზადება, გასაღებას ან გამოყენებას გულისხმობს.ვასილ ჩიგოგიძე თბილისში მიწის ფართებთან დაკავშირებით დარღვევებზე დააკავეს, თუმცა პატიმრობიდან იგი ორ დღეში გაათავისუფლეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ვარკეთილში საცხოვრებელი კორპუსის ლიფტში მიტოვებული ახალშობილი იპოვეს

თბილისში, ვარკეთილში, კალაუბნის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის ლიფტში მიტოვებული ოთხი დღის ჩვილი იპოვეს. ბავშვი იქ მცხოვრებლებმა აღმოაჩინეს და პატრულსა და სასწრაფო დახმარებას გამოუძახეს. ახალშობილი იაშვილის ბავშვთა კლინიკაში გადაიყვანეს. როგორც „მედიანიუსს“ კლინიკაში განუცხადეს, ბავშვს ამჟამად გამოკვლევბი უტარდება. ექიმების შეფასებით, მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოხლეს საფრთხე არ ემუქრება. საქმეზე აღძრულია სისიხლის სამართლის საქმე. პოლიცია ბავშვის დედას, მის სავარაუდო დამტოვებელს, ეძებს. ბავშვს საავადმყოფოდან ბავშვთა სახლში გადაიყვანენ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ბურების ჩამოყვანა არ უნდა დავუშვათ

## პოლიტიკა ჩვენთან ბიზნესთან არის შეზრდილი

შორენა კოწოწაშვილი

ბოლო დროს მძიმე სოციალური ფონის პარალელურად აქტიურად კეთდება განცხადებები ვადამდელი არჩევნების შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით. ოპოზიცია ფიქრობს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას დააჩქარებენ. თავად ხელისუფლების წარმომადგენლები ვადამდელ არჩევნებს გამორიცხავენ.

ვადამდელი არჩევნები მუდმივად აქტუალური თემაა. თუმცა, მოძრაობა სოლიდარობის ლიდერ ანზორ აბრალავას თქმით, რამდენჯერაც ვადამდელი არჩევნები ჩატარდა ოპოზიციის ერთი ჯგუფის მოთხოვნით, იმდენი სრული ფიასკო განიცადა ოპოზიციამ. იმიტომ, რომ მთავარი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა არ არის. მთავარია, ეს არჩევნები როგორ და რა ტექნოლოგიით ჩატარდება. მეორე — როგორი იქნება ხალხის განწყობა. აბრალავა დარწმუნებულია, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარების იდეა რეალურად ახლაც ისეთივე შედეგით დამთავრდება, როგორითაც დამთავრდა წინა ვადამდელი არჩევნები როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო.

გთავაზობთ ინტერვიუს **ანზორ აბრალავასთან**.

***— ბატონო ანზორ, ოპოზიცია ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი ეცდება, საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს, სანამ სოციალური კრიზისი გამწვავდება და სერიოზული საბიუჯეტო პრობლემა შეიქმნება. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— ჯერ ერთი, სოციალური და ეკონომიკური ფონი ისედაც მძიმეა. აქ მარტო სოციალურ ფონზე არ არის ლაპარაკი. აქ სხვა ფაქტორებიც არის წინა პლანზე წამოსაწევი. ჩვენი საზოგადოება შეეგუა ყველაფერს. სამწუხაროდ, მარტივი საკითხი არ გახლავთ საქართველოში 40 000 ოჯახის ჩამოსახლება, ბურებს ვგულისხმობ. მე პირადად, ამ ხალხის, როგორც ეთნოსის მიმართ, სიმპათიით ვარ განწყობილი. ჯერ ერთი, ნიკო ბურის გამო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. ეს დაემსგავსა არა უბრალოდ სოციალურ პრობლემას, ეს გარკვეულწილად ატარებს ეთნოროტაციის ხასიათს. სპეციალურად ვუსვამ ხაზს ამ ტერმინს — ეთნიკური როტაცია. 40 000 ოჯახი, ჩემი ვარაუდით, არის დაახლოებით 150 000-მდე ადამიანი. რას ნიშნავს ასეთი დიდი რაოდენობით ადამიანთა ჯგუფის შემოყვანა? ეს ხომ არ არის ის განწყობა, რომ ვიღაცას საქართველო მიაჩნია თავისუფალ არენად, ტერიტორიად, სადაც შეიძლება, როგორც გინდა, ისე შემოიყვანო ადამიანთა დიდი რაოდენობა და როგორც გინდა, ისე განალაგო. თან ძალიან საშიშ ფორმას ღებულობს ეს, როდესაც შემოგყავს ამდენი ათასი ოჯახი და ამ დროს თავის ქვეყანაში დევნილად ქცეულ ადამიანებს კიდევ დევნილად აქცევ. მხედველობაში მაქვს ლტოლვილების გამოყრა თავისი დროებითი საცხოვრისიდან. ეს ძალიან სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს საერთოდ საზოგადოების მხრიდან. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ ხელისუფლებაზე. ხელისუფლება ამას ასეთი ფორმით არ უნდა აკეთებდეს და ხალხი არ უნდა ითმენდეს ამას ასეთნაირად.



***— თქვენ ეთნიკურ როტაციას უწოდებთ ბურების საქართველოში შემოყვანას. მინისტრი ბაკურ კვეზერელი აცხადებს, რომ ესენი არიან ინვესტორები.***

— ინვესტიცია ხშირად შეიძლება იქცეს ინტერვენციად. ეს არის ინვესტიციური ინტერვენცია და ფიზიკური ინტერვენცია. არ ვიცი, კვეზერელი რა აზრს დებს ამაში. ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რაც ფიზიკურად ხდება. როდესაც შენი მოსახლეობა ასე დათრგუნულია. შრომის იარაღებისაგან ასე განიარაღებულია. არ გააჩნია რეალური შესაძლებლობები. ამას არ აქვს მხარდაჭერა. არ არსებობს შიდა პროტექციონისტული პოლიტიკა და ამ დროს შემოგყავს დიდი რაოდენობით ინვესტორები, 40 000 ოჯახი, ეს უფრო ინტერვენციას ჰგავს. აე ამას შევარქვი ეთნოროტაცია ანუ არსებული ეთნოსის ჩანაცვლება სხვა ეთნოსით. ამას დაუმატეთ მიგრაცია. ჩვენ ხომ არა გვაქვს ზუსტი აღრიცხვა იმ თვალსაზრისით, ვინ სად ცხოვრობს, როგორ და რამდენი ცხოვრობს, რამდენია გასული და ვინ დაბრუნდება. აქედან პოპულაციის ნარის მქონე ნაწილი რა პროცენტს შეადგენს. როგორც წესი, გადის პოპულაციის მქონე მოსახლეობა და შემოგყავს ასევე პოპულაციის მქონე სხვა ეთნოსის მოსახლეობა. ეს არის ეთნოროტაცია. ამას ძალიან საღად უნდა შეფასება.

***— სერიოზული განგაში უნდა იყოს საზოგადოების მხრიდან ბურების შემოყვანასთან მიმართებაში?***

— ეს ახლა უნდა იყოს განგაში, თორემ 17-18 წლის მერე ეს საგანგაშო აღარ იქნება იმ მიზნით, რომ აქ სხვანაირი რეალობა შეიქმნება. აქ მეორეა: ჩვენ ვვარგივართ ჩვენი მიწის პატრონად? ჩვენ დავკარგეთ შრომის და ჩვენი მიწის პატრონობის და დაცვის უნარი? სამშობლოს დაცვა ძალიან მრავალმხრივი ცნებაა. პირველი — ეს იშნავს, რომ შენ ხარ აქ, შენ მოგყავს მოსავალი და შენ გაქვს კულტურა და სახელმწიფო. იცავ ამ ყველაფერს. მეორეა, როცა ხარ ინერტული. არის კიდევ ბუნებრივი კანონი. ბუნება ვერ იტანს ვაკანსიას. სკამიდამ რომ ავდგე ახლა, გავიდე და 10 წუთში შემოვიდე, ამ სკამზე სხვა იჯდება. ასეთია ცხოვრების კანონი.

***— ბატონო ანზორ, მოდით, პოლიტიკური ვითარებაზე ვისაუბროთ. რამდენად შესაძლებელია ამ ფონზე ხელისუფლების რეალური ცვლილებების განხორციელება?***

— ამ წუთას ვერ ვხედავ სერიოზული პოლიტიკური

გაგრძელება მე-3 გვერდზე

**დაიწყეთ ახალი დღე „ახალ ქართულ პროზასთან" ერთად!**

**ყოველი ორშაბათიდან „გუმბათთან" ერთად შეიძინეთ „ახალი ქართული პროზის" ახალი ტომი**

**ჟურნალი წიგნთან ერთად ღირს 3 ლარი**

# პარტიები არჩევნებისთვის მზად არ არიან

## ვადამდელ არჩევნებს ხელისუფლება მოიგებს

შორენა გონგლა ე



**ინტერვიუ თინა ხიდაშელთან**

***— ქალბატონო თინა, როგორ შეაფასეთ პრეზიდენტის გამოსვლა, როდესაც ის პასუხობდა საზოგადოების შეკითხვებს, რამდენად ადეკვატური იყო პრეზიდენტის პასუხები?***

— მე ვფიქრობ, რომ აქ კითხვა-პასუხში არ არის საქმე, ეს იყო შოუ სხვა ქვეყნიდან, რომელშიც სააკაშვილი და მისი გარემოცვა ცხოვრობენ, რომელიც უცხოა საქართველოს მოსახლეობისათვის. სააკაშვილი აბსოლუტურად არაადეკვატური იყო იმ რეალობის და იმ პრობლემების, რაც მოსახლეობას აქვს. მან თავი აარიდა პირდაპირ პასუხების გაცემას იმ კითხვებზე, რომელიც ამ წუთიერი პრობლემების მატარებლია. მე არაადეკვატურობის ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ მოვიყვან არაადეკვატრობის სამ ნათელ მაგალითს; პირველი, როდესაც მას ჰკითხეს პენსიის ას დოლარამდე გაზრდაზე და მან თქვა, რომ იქნება როდისღაც და არანაირი პასუხი არ გასცა, მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლიდან უნდა ყოფილიყო ასი დოლარი პენსია; მეორე იყო, როდესაც მან ვეტერანების აქციაზე ისაუბრა და სრლიად სამარცხვინოდ, მთავარსარდლისათვის აბსოლუტურად შეუფერებლად, ეს ისეთი საუბარი იყო, გორიდან მიწაზე ფორთხვით რომ გამორბოდა, ზუსტად ერთში ერთი იყო მის ქმედებასთან მისი პასუხი ვეტერანების აქციის დარბევაზე და მესამე იყო, როდესაც მან თქვა, რომ თურმე საქართველოში შიმშილი არ არის, მან თქვა, რომ თურმე შიმშილი დავძლიეთ და ახლა უკვე სხვა რამეზე უნდა ვიფიქროთ. როგორ შეიძლება ამ კაცს ჰქონდეს პრეზიდენტობაზე პრეტენზია, როდესაც საერთოდ არ აქვს წარმოდგენა თუ რა დღეშია ხალხი.

***— თქვენ პირადად რა კითხვები გქონდათ პრეზიდენტთან?***

— მე მასთან ძალიან დიდი ხანია კითხვები აღარ მაქვს, მთავარ კითხვებზე პასუხები მივიღეთ ჯერ 7 ნოემბერს, თუ როგორ უყურებს ის დემოკრატიას, როგორ უყურებს ქვეყნის ტერიტორილ მთლიანობას, ამაზე პასუხი მივიღეთ 2008 წლის 7 აგვისტოს, როგორ უყურებს ქვეყნის მომავალ განვითარებას, ამაზე პასუხი მივიღეთ საკონსტიტუციო ცვლილებებით, სიღარიბის დაძლევაზე პასუხი მივიღეთ 200-მილიონიანი რეზიდენციის, შუშის ხიდით, რომელიც დაახლოებით იმდენივე დაჯდა და ასე შემდეგ. ასე რომ, მე სააკაშვილთან არანაირი კითხვები არ მაქვს, მე ყველა კითხვაზე მაქვს პასუხები მისი ქმედებებით მიღებული. ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო ის, როდესაც მან 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებზე ისაუბრა, როდესაც მან პრაქტიკულად აღიარა, რომ არჩევნების გაყალბებამ მოუწია.

***— საუბარია რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაზე, რამდენად არის ამისათვის მზად პირველ რიგში ოპოზიცია?***

— სააკაშვილს პრაქტიკულად გამარჯვება გარანტირებლი აქვს ბევრი მიზეზის გამო, მათ შორის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ არც ერთი ოპოზიციური პარტია დღეს არ არის მზად ფინანსურად არჩევნებისათვის. მე ვერ ვხედავ ვერც ერთ ოპოზიციურ პარტიაში ფინანსურ მზაობას. არჩევნებს ფული ყოველთვის სჭირდება, ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულ შრომასთან არის დაკავშირებლი. ამიტომ ძალიან კარგი დროა სააკაშვილისთვის არჩევნების დასანიშნად. თუმცა, ამავდროულად მან ძალიან კარგად იცის ასეთი არჩევნების რისკებიც, იმიტომ, რომ არჩევნები, როგორც წესი, კატალიზატორი ხდება ხოლმე მღელვარების, ასევე მკვეთრად და ნათლად გამოვლენილი უსამართლობის. მიუხედავად დიდი პლუსისა, რომელიც ამ შემთხვევაში არჩევნებს ნაციონალური მოძრაობისთვის ექნება, არსებობს დიდი საფრთხეებიც.

ფინანსურის გარდა, არის კიდევ სხვა, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ოპოზიციის წინაშე ნამდვილად დგას, ეს არის საზოგადოებაში ოპოზიციისადმი სანდოობის დაბალი მაჩვენებელი.

***— ეს რომელი სანდოობა, სააკაშვილის დაქირავებული კომპანია რომ ზომავს პერიოდულად და მიშა რომ გვამცნობს ხომე ტელევიზიებით?***

— ეს არ ეხება სოციოლოგიურ კვლევას, ოპოზიციამ არაერთხელ გაუცრუა ხალხს იმედი, ამ ქვეყანაში არ არსებობს სოციოლოგი, რომელსაც დაეყრდნობოდი და ენდობოდი. საზოგადოების საერთო აზრი, არა მგონია, რომ ამ ქვეყანაში ვინმემ იცოდეს, რადგანაც ამ ქვეყანაში ეს არასოდეს არ იზომება ობიექტურად და სამართლიანად, რადგანაც ეს უმრავლეს შემთხვევაში ყალბდება. საერთოდ საქართველოს პოლიტიკური გემოვნების შესახებ დაზუსტებული წარმოდგენა არავის არ აქვს, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში არასოდეს სამართლიანი არჩევნები არ ჩატარებულა, ამიტომ ხალხის აზრი და დამოკიდებლება პოლიტიკური პროცესებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ უცნობია. სამწუხაროდ, საქართველოს საზოგადოება მიეჩვია, რომ პოლიტიკა — ეს არის ქუჩაში ხმამაღლა ყვირილი, ამიტომ რადგან ქუჩაში ყვირილი არ არის, არსებობს ისეთი განცდა, განსაკუთრებით ჟურნალისტებში და ექსპერტებში, რომ საზოგადოებას პოლიტიკა აღარ აინტერესებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე მარტივად არ არის ყველაფერი.

***— ამ შემთხვევაში ვიგულისხმე გასული წლების ფაქტები და შედეგები, რა შედეგითაც დასრულდა ოპოზიციის არაერთი გამოსვლა, ოპოზიციის მიმართ საკმაოდ საფუძვლიანი უკმაყოფილება იყო საზოგადოების მხრიდან. ეს უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ოპოზიციის რეიტინგი საკმაოდ დაბალია საზოგადოებაში...***

— პოლიტიკის რეიტინგი არის დაბალი საზოგადოებაში, ანუ საზოგადოებას აქვს გაუცხოვება პოლიტიკის მიმართ და არა რომელიმე კონკრეტული პარტიის მიმართ, საერთოდ სიტყვა ოპოზიციას რაც უფრო ნაკლებად გამოიყენებენ ჟურნალისტები, მით უფრო სწრაფად შეიცვლება ამ ქვეყანგაში ვითარება, იმიტომ, რომ არ არსებობს ეგეთი მცნება. არსებობს ხელისუფლება, იმიტომ, რომ ის ერთია, არ არსებობს ოპოზიცია ერთი, ოპოზიციაში არის ზურაბ ნოღაიდელიც, არიან ქრისტიან-დემოკრატები და ვართ ჩვენ, ეს სრულიად სხვადასხვა პოლუსია, ისევე როგორც სხვა ბევრი პარტია შეგვიძლია ჩამოვთვალოთ, ისევე როგორც სხვადასხვა პოლუსები. მთელი პრობლეკა ამაში მდგომარეობს, ხელისუფლებამ რაც ყვკლაზე კარგად მოახერხა არის ის, რომ ჟურნალისტები ასე ლაპარაკობთ, ეს არის მათი ყველაზე დიდი მიღწევა, ხდება ამ აზრის კულტივირება და დამკვიდრება, რომ ერთია ხელისუფლება და ერთია ოპოზიცია. მე ვფიქრობ, რომ დამოუკიდებლობის 21 წელი, სრულიად საკმარისი დროა იმისათვის, რომ ფერადად დავინახოთ ცხოვრება და არა მაინცდამაინც შავ-თეთრად, როგორც ყველა ხელისუფლება ამ წლების განმავლობაში გვკარნახობდა ხოლმე. ამიტომ მე არ ვაპირებ ოპოზიციაზე ლაპარაკს და მიშას პროპაგანდაში ჩართვას, თუ როგორია ოპოზიცია, როგორია ოპოზიციისადმი დამოკიდებულება, რას ფიქრობს ხალხი ოპოზიციაზე და ასე შემდეგ. შეუძლებელია, რომ ასეთი აზრი არსებობდეს საზოგადოებაში და თუ არსებობს, ის უბრალოდ არასწორია.

***— ოპოზიციის ერთ ნაწილთან დაკავშირებული ფინანსური სკანდალი, თქვენ როგორ ფიქრობთ, არის ამაში რაღაც სიმართლის მარცვალი თუ ეს არის ხელისუფლების მორიგი ჭორი?***

— ჩვენ რესპუბლიკელებმა ამ თემაზე პასუხები გავეცით, იმიტომ, რომ არის ინფორმაციის ნაწილი, რომელიც ჩვენ გვაქვს რომელზეც შეგვიძლია სრლყოფილად ვისაუბროთ და ამაზე მუდმივად ვსაუბრობთ და არის დანარჩენი ინფორმაცია, რომელზეც ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია და გამოდის, რომ ჩვენ უკვე უნდა ვიჭორაოთ. ამიტომ ნამდვილად არ ვაპირებ ლევან გაჩეჩილაძეზე ჭორაობას, იმიტომ, რომ მგონია, რომ ეს ყველაფერი არასწორია და უსინდისობაა ყველა იმ ადამიანის მხრიდან, ვინც მაშინ ეროვნულ საბჭოში იყო და მონაწილეობას იღებდა გადაწყვეტილებების მიღებაში უბრალოდ უსინდისობაა, რომ ამ თემით დღეს გადაწყვიტეს ქულების დაგროვება, ლევანისკენ ხელის გაშვერა და მისთვის ხელის შეხოცვა. მე არ მაქვს ყველაფერზე ინფორმაცია, მაგრამ რა ინფორმაციაც გამაჩნია, იმ ნაწილში ლევანის მიმართ ეს ბრალდებები აბსოლუტურად უსამართლოა.

# სააკაშვილმა აღიარა, რომ ოპოზიციის ეშინია

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ კახა კუკავასთან**

*— ბატონო კახა, თქვენ და ბატონი კობა დავითაშვილი სტრასბურგში იმყოფებოდით ვიზიტით, მოდით, ამ თემით დავიწყოთ, რა იყო თქვენი ვიზიტის მიზანი და რა გადაწყვეტილებებით დაბრუნდით უკან?*

— ვიზიტის შესახებ ჩვენ გავავრცელეთ ინფორმაცია, იყო ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები, იმ თვალსაზრისით, რომ მაღალ დონეზე შედგა, ანუ პირველ პირებთან შედგა და გარდა ამისა, იყო ძალიან შინაარსიანი, იმიტომ, რომ ინტერესი ჰქონდათ იმ საკითხების მიმართ, რომელიც არის საქართველოში-დემოკრატიული პროცესი, ადამიანის უფლებები, პოლიტიკური პატიმრები და ასე შემდეგ, ეს იყო პირველი ვიზიტი, რომელიც შედგა არასაპარლამენტო ოპოზიციისათვის. როგორც წესი, არასაპარლამენტო ოპოზიციას ასეთი მიღწევები არ აქვს ხოლმე. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

*— რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებებით თუ დაბრუნდით იქიდან?*

— ჩვენ პრინციპულად მოვილაპარაკეთ იმაზე, რომ ევროპის საბჭო განახორციელებს მონიტორინგს მთელ ამ საკითხებზე, მაგრამ ამ პრინციპული გადაწყვეტილებების შემდეგ საჭიროა მთელი რიგი იურიდიული პროცედურები, რომლისთვისაც ჩვენ ახლა ვემზადებით.

*— ბატონო კახა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონია, დღითიდღე იზრდება საკვებ პროდუქტებზე ფასები, უმძიმეს მდგომარეობაშია მოსახლეობა. ეროვნული საბჭო ამ კუთხით აქციების დაწყებას გეგმავდა, რა ხდება ამ მხრივ, როდის გამოხვალთ ქუჩაში?*

— სოციალური ფონი ძალიან მძიმეა და მუდმივად რომ მძიმდება ამას ჩემი შეფასებები არ სჭირდება, პრაქტიკულად ყოველდღიურად მიდის ამაზე მსჯელობა. ფასები, დაზღვევის არ არსებობა, ხელფასები, პენსიები და ასე შემდეგ, ყველაფერი უფრო და უფრო ჩამორჩება ნელ-ნელა სამომხმარებლო კალათას. თუმცა, საქართველოში ბოლო წლების მანძილზე იმდენი პროტესტი იყო, რომ მე მგონი, უკვე ოპოზიციამაც აღარ იცის, საიდან დაიწყოს ეს პროტესტი, იმდენად ყველაფერი გასაპროტესტებელია. ჩვენი მთავარი ამოცანა არის ახლა, რომ მოხდეს სოლიდარობის აქციის ჩატარება, იმიტომ, რომ ცალკე დევნილების აქციის ჩატარება, გარემოვაჭრეების აქციის ჩატარება, პოლიტიკური აქციების ჩატარება არანაირ ეფექტს არ იძლევა. იგივე ეგვიპტის მაგალითმა დაგვანახა ჩვენ, რომ მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა მოთხოვნა იყრის ერთ მოთხოვნაში თავს და საზოგადოება გამოხატავს თავის პროტესტს, მაშინ შეიძლება ჰქონდეს ამას კონკრეტული შედეგი. ჩვენ ვერაფრით ვერ მივაღწიეთ იმას, რომ დევნილებისთვის, დავუშვათ, სოლიდარობა გამოეცხადებინათ თბილისელებს, ან პირიქით. ამიტომ ამ საკითხზე ჩვენ ვაპირებთ სერიოზული კამპანიის გაშლას, სერიოზული პიარის დაწყებას, როგორმე სოლიდარობის გრძნობა უნდა ჩავუნერგოთ ჩვენს საზოგადოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თორემ სააკაშვილი დგას სწორედ ამ გათიშეს და იბატონეს პრინციპზე.

*— თქვენ ეგვიპტე ახსენეთ, რამდენად არის იმის შანსი, რომ ჩვენს ქვეყანაშიც დაიწყოს იგივე პროცესები?*

— ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად მოხდება, იმიტომ, რომ სოციალური მიზეზები, რაც ეგვიპტეში მოხდა, საქართველოშიც არსებობს, თუმცა, პოლიტიკური განსხვავებები, რა თქმა უნდა, არის. საქართველოში როცა მიმდინარეობდა პროტესტი, ჩვენ რომ გვქონოდა იმის 1% მხარდაჭერა, რაც აქვს დღეს ეგვიპტელ ხალხს, მაშინ დღეს სააკაშვილი ციხეში იჯდებოდა, მაგრამ საქართველოს საპროტესტო აქციები სიენენის პირდაპირ ეთერში კი არა, ჩვენს ტელევიზიებშიც არ შუქდებოდა და სადაც შუქდებოდა, უკუღმა. ეს პოლიტიკური განსხვავებები არსებობს, რა თქმა უნდა. ეგვიპტის მიმართ საერთაშორისო ინტერესი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე საქართველოს მიმართ, ამიტომაც ბუნებრივია, რომ ეს ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე. თუმცა, ადრე თუ გვიან, რა თქმა უნდა, მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილიც დაამთავრებს ისე, როგორც უბარაკი ამთავრებს.

*— თქვენ მიერ დაწყებული აქციები ხომ არ იქნება ამ პროცესის დასაწყისი?*

— ეს დამოკიდებული არის ქართველ ხალხზე. ჩვენი საზოგადოება ახლა სერიოზულ ინდიფერენტულ განწყობილებაში იმყოფება, იმ ბევრი წარუმატებლობის გამო, რაც ერთად გადავიტანეთ გასული წლების მანძილზე, ამიტომ აუცილებელია რაღაც იმედის ნაპერწკალი, რაციონალური წინადადება და რაციონალური გეგმა, რომლის ირგვლივაც ჩვენ შევძლებთ საზოგადოების კონსოლიდაციას.

*— მოვისმინე ასეთი შეფასებებიც, რომ ხიდია ჩატეხილი საზოგადოებასა და ოპოზიციას შორისო და რამდენად არის შესაძლებელი უახლოეს პერიოდში ამ ხიდის აღდგენა?*

— ეს არის შეკითხვა, რომელიც ჩვენთვისაც მთავარი შეკითხვაა, ვნახოთ, ჩვენ ამაზე ვმუშაობთ, ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ერთის მხრივ, შეუძლებელია საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე რაიმე სერიოზული ნაბიჯები გადავდგათ, თუმცა, მეორეს მხრივ ისიც გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკური ალტერნატივის ჩამოყალიბების გარეშე საზოგადოების პროტესტი ვერანაირ შედეგამდე ვერ მივა. აუცილებელია ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს დაემთხვეს.



*— როგორ ფიქრობთ, ეს უმძიმესი სოციალური ფონი არ გამოიყვანს ხალხს ქუჩაში? ფასების ზრდის მიხედვით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მეორე ადგილზე ვყოფილვართ...*

— მაინტერესებს, პირველი ვინ არის...

*— თუ არ ვცდები, ყირგიზეთი...*

— იცით, დევნილების აქციამ აჩვენა, რომ საქართველოში დეპრესია ისეთ დონეზე არის უკვე, რომ ის ხალხიც კი, ვისაც სახლიდან ყრიდნენ, მიტინგზე მაინც არ მოდიოდნენ. ანუ ეს ხიდჩატეხილობის თუ უიმედობის გრძნობა არის დასაძლევი. ბრძოლის დაწყება შეუძლებელია, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი იმყოფება დეპრესიაში. აუცილებელი არის ყველა ერთად შევთანხმდეთ და დავიჯეროთ რომელიღაცა გზის, რომელიც ყველაზე უფრო რეალისტურად მიგვაჩნია, იმიტომ, რომ გულზე ხელებდაკრეფილი მოქმედებით არაფერი არ გამოვა. აუცილებელია აქტიური მოქმედებები, მაგრამ აქტიურ მოქმედებებს სჭირდება, რომ საზოგადოებას დაუბრუნდეს ნდობა, რაღაცა პროცესის ნდობა. არ არის აუცილებელი, ერთი რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ნდობა დაუბრუნდეს, ამიტომ ამ თვალსაზრისით ალბათ უახლოესი წლები გადამწყვეტი იქნება, ის პოლიტიკური ძალა, ან ჯგუფი, რომელიც უფრო რეალურ პროგრამას შესთავაზებს საზოგადოებას, დაძლევს სწორედ ამ უიმედობას.

*— ამ სიტუაციაში საკმაოდ ცინიკური დამოკიდებულება აქვს ჩვენს პრეზიდენტს პროცესების მიმართ...*

— მე ვფიქრობ, პრეზიდენტი ერთ-ერთი მოკავშირეა ჩვენი, იმიტომ, რომ ეს ცინიზმი გახდა თავის დროზე ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი 2007 წლის ზაფხულში გაიხსენეთ სახლების დანგრევები და ყველაფერი ის რაც ხდებოდა 2007 წლის ზაფხულში, გახდა იმისი განმაპირობებელი ფაქტორი, რაც მოხდა მერე ნოემბერში. ამიტომ სააკაშვილმა ვერც ვერაფერი ისწავლა, ვერც ვერაფერი დაივიწყა და მე ვფიქრობ, რომ ნამდვილად ეს ადამიანი ჩვენი მოკავშირეა იმ საქმეში, რასაც ჰქვია ახალი ფართომასშტაბიანი პროტესტის ორგანიზება.

*— ამ უმძიმეს ფონზე, როგორც ცნობილი ხდება, სააკაშვილი თურმე 200 მილიონიან ბოინგს ყიდულობს, თქვენ თუ გაქვთ ამის შესახებ ინფორმაცია?*

— მართალი გითხრათ, ეს საკითხი არ მაინტერესებს, იმიტომ, რომ იმდენი რამე არის უკვე ცნობილი, რომ რაც არ უნდა დაემატოს, ეს არსებითად ვერაფერს ვერ შეცვლის. 200-მილიონიან თვითმფრინავს ყიდულობს თუ არ ყიდულობს, მილიარდიანი რეზიდენცია რომ აიშენა, ჩემი აზრით, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ეს ადამიანი იჯდეს ციხეში, იმიტომ, რომ ქვეყანაში, სადაც ბავშვები იღუპებიან, მედიკამენტების და სურსათის არასაკმარისი მიწოდების გამოა და ეს არის მრავალგზის დასტურებული ფაქტი. პრეზიდენტი, რომელიც იშენებს ახალ მილიარდიან რეზიდენციას, ის უნდა ჩაჯდეს ციხეში ძალუფლების ბოროტად გამოყენების მუხლით.

*— თქვენ აქციების დაწყების შესახებ ისაუბრეთ, რამდენად გაქვთ იმედი, რომ სხვა ოპოზიციური პარტიებიც გვერდში დაგიდგებიან?*

— ოპოზიციის რიგებში ჯერ კიდევ არის განხეთქილება და გაუცხოება, თუმცა, მე ვფიქრობ, თუ გამოიკვეთა ერთი პოლიტიკური ძალა, აუცილებლად მას გამოუჩნდებიან პარტნიორები და დღეს ეს დაბნეულობა გამოწვეული არის იმით, რომ არ ჩანს ნათელი სტრატეგია.

*— თქვენ საუბრისას 7 ნოემბერი ახსენეთ, დღესაც უამრავი ბრალდება და საქმის გარჩევები მიდის ამასთან დაკავშირებით, თუ რამდენი მილიონი ჰქონდა ოპოზიციას, თქვენ იმ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდით ამ პროცესებში და რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?*

— მე ვფიქრობ, რომ ამასთან დაკავშირებით უკვე ჩატარდა საკმაოდ ხანგრძლივი დისკუსია, საზოგადოებამ დაინახა, რომ არანაირი მტკიცებულებები ამ ბრალდებებს არ მოჰყვა, მიუხედავად იმისა, რომ იყო რაღაც ხელნაწერებზე საუბარი, ყველა ეს ბრალდება არის მონაჭორი და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს თემები შემთხვევით არ გაჩენილა და იმ ძალების მიერ იქნეს შექმნილი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ოპოზიციის დისკრედიტაციით. თუ ვინმე ამაში უნებლიეთ იყო ჩართული, მე მგონი, მათაც დაინახეს ეს და ყოველ შემთხვევაში უნდა დაინახონ და ასეთი ტიპის პროცესის განახლებას მე არავის არ ვურჩევდი.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას აშინებს ოპოზიცია და მის დისკრედიტაციას ცდილობს?*

— ეს, მე მგონი, მიხეილ სააკაშვილმა აღიარა თავის პირდაპირ ეთერში, როცა ვქვა, რომ კმაყოფილია იმითი, რომ ოპოზიცია არის სუსტი, რაც ნიშნავს იმას, რომ მას აშინებს ოპოზიციის გაძლიერება.

*— ოპოზიციას ქვეყნის ძირგამომთხრელებიც გიწოდათ და ბევრ ცუდ რამეშიც დაგადანაშაულათ...*

— სააკაშვილის შეფასებები ჩვენთვის საინტერესო არ არის. ჩვენ მას განვიხილავთ, როგორც განსაკუთრებით საშიში კატეგორიის მძიმე სახელმწიფო დამნაშავეს, როგორც ფაშისტური რეჟიმის ხელმძღვანელს, ტირანს, ამიტომ მისი შეფასებები ჩვენთვის ისეთივე საინტერესოა, როგორც ახლა ეგვიპტელ ხალხს აინტერესებს მუბარაკის შეხედულებები მათ შესახებ.

# ბურების ჩამოყვანა არ უნდა დავუშვათ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ცვლილებების რეალურ მომენტს გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკური ძალები ძირითადად პოლიტიკურ ინტრიგებში არიან ჩართული. ამიტომ ჩვენ პოლიტიკურ არენაზე გვაქვს არა პოლიტიკური მოღვაწეები, არამედ ძირითადად გამოვიდნენ პოლიტიკური ინტრიგანები. სამწუხაროდ, ჩვენთან პოლიტიკური ელიტა, პოლიტიკური კულტურა ვერ ჩამოყალიბდა. ჩამოყალიბდა პოლიტიკური ინტრიგა. ხშირად რასაც ჩვენ პოლიტიკას ვეძახით, სწორედ ინტრიგას წარმოადგენს. ამიტომ ამ ფონზე ახლა ცვლილება რომ მოხდეს, ეს ძალიან მძიმე იქნება ქვეყნისთვის. იმიტომ, რომ შენ არჩევანს აკეთებ იდენტურ ძალებს შორის. ისინი, ვინც ახლა წინა პლანზეა წამოწეული და პრესა და ტელევიზია ეთმობა, ესენი უკვე იყვნენ ხელისუფლებაში. მათ ასპარეზი უკვე ჰქონდათ. რაზეც ახლა სააკაშვილს ედავებიან, ის ერთად აკეთეს. რიგითი მოქალაქეებისთვის საკითხი დგას ასე: ვინც ადრე იყო ხელისუფლებაში, ცუდია, ვინც ახლა ხელისფლებაში არ არის, ის კარგია. ეს არის მცდარი მიდგომა. ადამიანებს აქვთ თავიანთი ბიოგრაფია. თავის გაკეთებული საქმეების მიხედვით. 7, 10, 15 წელი ხარ ხელისუფლებაში, არაფერი გაგიკეთებია და კიდევ რატომ უნდა დავაყენო საკუთარი ქვეყანა ექსპერიმენტის ქვეშ? კიდევ იმ ძალებს რატომ უნდა მივცეთ ასპარეზი? ამიტომ აქ საზოგადოების პრობლემაც დგას სერიოზულად. საზოგადოების მენტალიტეტი დღეს ისეა მოწყობილი, რომ ისინი ასეთ არჩევანს აკეთებენ. იგივე, რაც ეგიპტეში ხდება, ეს სერიოზული სიგნალი უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის. მით უმეტეს, ის მუბარაქი ავტორიტარია. იქ არ არის დემოკრატია. არ შეიძლება ხელისუფლება ქუჩის კაცებისაგან და ქუჩის ქალებისაგან კომპლექტდებოდეს. ვინ მოდის ეგვიპტის ხელისუფლების სათავეში? მოდის ელბარადეი — ცნობილი ნობელიანტი მშვიდობის დარგში. ის ფართო საზოგადოებისთვის მიღებული პიროვნებაა. ჩვენ ვის ვლებულობთ? პრეტენზია რომ გვაქვს, რომ ძალიან განათლებული და კულტურული ერი ვართ და პრეტენზია გვაქვს მეცნიერებაზე, სად არის ეს ხალხი? ქართველმა მეცნიერებამ და კულტურამ ასე აქცია ზურგი ქართულ პოლიტიკას? ფაქტია, რომ ეს ხალხი არ ჩანს. თუ არ გამოაჩენ, არასდროს არ გამოჩნდება. ერთი და იგივე ადამიანები ჩანან ეკრანზე. ნახეთ, ოპოზიციონერები ერთმანეთს რას აყვედრიან — ფულის ამბავი ტრიალებს. პოლიტიკა ჩვენთან ბიზნესთან არის შეზრდილი. არჩევნების დროს ფულის კეთება. გარიგებები გარკვეულ საკითხებზე და ა.შ. ეს არის ღრმად კორუმპირებული საზოგადოება. შეიძლება ამის გამო ბევრს ჩემ მიმართ აგრესია გაუჩნდეს, მაგრამ ჯობია ჩვენ ეს ვთქვათ, ვიდრე არ ვთქვათ. ჩვენი საზოგადოებაა მთლიანად ღრმად კორუმპირებული. კორუფციის ჭაობში ღრმად არის ჩაძირული. არაფერი განსხვავება არ არის იმ ადამიანს შორის. ის, ვინც მილიონს ითხოვს რაღაცის გამო და გარიგებაზე მიდის ხელისუფლებასთან და იმ ადამიანს შორის, რომელსაც შეუძლია 5 და 10 ლარად, ვისაც უნდა ხმა, იმას მისცეს. არანაირი განსხვავება, მათ ერთი მენტალიტეტი აქვთ. ერთნაირი ფსიქიკური წყობაა. ამიტომ აქ პრობლემა ცოტა სხვა რამეშია. თუნდაც თანადგომა ავილოთ, რატომ არ არის საზოგადოება სათანადო სიმაღლეზე, როცა ვილაცის ფინანსური წყარო გამოჩნდება. მაშინ ხდება ხალხის ორგანიზება. ე.ი. დღესდღეობით ერში ინსტინქტური პროტესტის გრძნობა მინავლებულია.

*— რაზე მიუთითებთ, ხალხი მძიმე სოციალური ფონის გამოც არ გამოვა ქუჩაში ინსტინქტურად?*

— სწორედ მძიმე ფონზე უნდა წამოწიოს წინ ინსტინქტური პროტესტის გრძნობა. ესეც კი არ ჩანს. ხელისუფლებას თავის მხრივ აქვს თავისი ცოდვები. ნათქვამია, ძალაუფლება რყვნის ხელისუფლებას. ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება, აბსოლუტურად რყვნის. საზოგადოება თავის მოთხოვნებით უნდა იყოს შემაკავებელი ფაქტორი. საზოგადოება არ სთხოვს სათანადოდ ხელისუფლებას. აბა, ამას ვინ გააკეთებს. არავინ არ გეტყვის, გარეთ გამოდო. შენ ინსტინქტურად უნდა გრძნობდე ამას, როდის უნდა გამოხვიდე და ხელისუფლების ანტიადამიანური პოლიტიკა გააპროტესტო. ჩვენ, სამწუხაროდ, ამ მხრივ ხმას არ ვიღებთ. ერთს მაინც ვთვლი საჭიროდ, ჩვენ საზოგადოებას სიმართლე უნდა ვუთხრათ. საზოგადოებას ყველა დროს უნდა ჰქონდეს ინსტინქტურად პროტესტის უნარი. დაიცვას საკუთარი თავი და საკუთარი უფლება. მაგრამ ხელისუფლებასაც უნდა ჰქონდეს თვითშეკავების უნარი, როცა მას ნდობის ვოტუმს აძლევენ. არ შეიძლება ჩვენ ყვლაფერი ვკადროთ ერთმანეთს და ვკადროთ ამ საზოგადოებას. არ შეიძლება ეს საზოგადოება ყველაფერს ითმენდეს. ეს მართლა მაწუხებს და ვთვლი, რომ ამაში გარკვეულად ყველა ვართ დამნაშავე.

*— თქვენი აზრით, რა იქნება პერსპექტივაში?*

— ეს მართლაც რთული საკითხია. ერთ მშენიერ დღეს ამ ხალხის მოთმინების ფიალა მიაღწევს იმ კონდიციამდე, რომ ამ მოძრაობას შეიძლება სტიქიური ლიდერი გამოუჩნდეს.

*— რაზე მიანიშნებთ, სოციალურ ჯანყზე?*

— სოციალურ ჯანყს მერე შეიძლება ფიზიკური ჯანყი მოჰყვეს. ეს იქცევა დამანგრეველ ძალად. ამიტომ ხალხმა კარგად უნდა გაიაზროს, ვისზე და რაზე აკეთებს არჩევანს. როგორი პროგრამაც არ უნდა შესთავაზო ამ ხალხს, არ აინტერესებს. ყველა ფულზეა ორიენტირებული. პოლიტიკური პარტიები ეძებენ ფულს და ხალხიც ეძებს ფულს და იქეთ მიდის, ვინც ფულს იხდის. აი, ეს არის უბედურება. როგორ შეიძლება ხალხი აძლევდეს ხმას იმას, ვინც გაჭირვებას და ძალადობას სთავაზობს. ეს რა მაზოხიზმია?! მაზოხისტური საზოგადოებაა? რა ამ პოზიციის დიდი ნაწილი ხელისუფლებაში არ იყო? მე, სხვათა შორის, მიმაჩნია, რომ ბევრ მათგანთან სააკაშვილი არის მართალი. სააკაშვილს საყვედურობენ 2008 წელს. სააკაშვილი 2008 წელს რაც იყო, ზუსტად ისეთივე იყო 2006-2007-წლებში და მანამდეც. საკითხი ისე კი არ უნდა დადგეს, ერთი წავიდეს მეორე მოვიდეს, აქ ყველაფერი დარიკალურად არის შესაცვლელი. შეხედეთ რა ხდება საკუთრების კუთხით, როგორ ხდება ქონების წართმევა და სხვებზე გადანაწილება. ვინ არიან ეს ხალხი. როგორ შეიძლება ბიზნესმენმა საქმე მუდმივი შიშის ქვეშ აკეთოს.

*— ანუ ამ სფეროს სერიოზული მონიტორინგ სჭირდება?*

— დღეს თუ რამეს სჭირდება მონიტორინგი, სჭირდება საბაჟოებს. ტელევიზიებმა უნდა აჩვენონ, რა ხდება საბაჟოებზე. ვის შემოაქვს საქონელი საბაჟოზე. ის კი არა შმონდერებს რომ ეძახიან, ქალები სამ ზედას რომ ჩაიცვამენ და ისე გადმოდიან საზღვარზე. უნდა დადგინდეს და ხალხმა გაიგოს, ვის შემოაქვს მაგალითად, ტონობით თევზი საქართველოში. მარნეულში ვილაცამ თევზი რომ მოაშენა, რატომ არ ღებულობენ რესტორნები იმ თევზს? ეს არის მონოპოლია. რატომ არავინ არ აკონტროლებს ამას? რატომ არ ლევენ გლეხს საკუთარი პროდუქციის გაყიდვის საშუალებას? ამაზე ვილაპარაკოთ. ეს ხალხი არის დაუცველი.

# საქართველოში 23 300 პატიმარია

**საქართველოში ამჟამად 23 300 პატიმარია. ეს ციფრი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დაასახელა. პატიმართა რაოდენობის შესახებ მინისტრმა მას შემდეგ ისაუბრა, რაც პარტია „თავისუფალი დემოკრატების" წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა მინისტრს შეკითხვა დაუსვა.**



ნანა მიშელაშვილი

— ხშირად ვარკვევთ და ვერ გაგვიგია, რამდენი პატიმარია ქართულ ციხეებში? დღევანდელი მდგომარეობით რამდენი პატიმარია საქართველოში? — მიმართა გიორგი ცაგარეიშვილმა ხათუნა კალმახელიძეს.

მინისტრის განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე ბევრი აბსურდული ინფორმაცია ვრცელდება და ბევრი ადამიანი მონაცემებს ამუქებს. მანვე აღნიშნა, რომ ეს გარემოება მას ყოველთვის უკვირს და აინტერესებს, „სადამდე ვრცელდება ამ ადამიანების ფანტაზია".

ხათუნა კალმახელიძის განმარტებით, პატიმართა რაოდენობა არის საჯარო ინფორმაცია და ამ მონაცემების მოძიება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

— გასული კვირის მონაცემებით, საქართველოში 23 300 პატიმარია და არა 50 და 60 ათასი, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე, —აღნიშნა ხათუნა კალმახელიძემ.

ეს ერთადერთი საკითხი არ იყო, რომლითაც ოპოზიციონერი დეპუტატი დაინტერესდა. გიორგი ცაგარეიშვილმა მინისტრ კალმახელიძეს გაახსენა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნა, რომელშიც ქსნის ციხეში არსებილ უმძიმეს მდგომარეობაზეა საუბარი. ხათუნა კალმახელიძემ დეპუტატს განუმარტა, რომ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნა მოძველებულია და 2009 წელს შეეხებოდა, როდესაც ქსნის ძველი დაწესებულება იყო.

კალმახელიძის თქმით, ქსანში ძველის ნაცვლად ახალი შენობა აშენდა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. მინისტრის თქმით, ქსანში არსებული პირობები მოინახულეს დიპლომატიურმა კორპუსის წარმომადგენლებმა, სახალხო დამცველმა და ჟურნალისტებმა.

ასე რომ, მინისტრმა ოპოზიციონერ დეპუტატს უთხრა, რომ 2010 წლის დასკვნას მიაქციოს ყურადღება და არა 2009 წლის დასკვნას.

ოპოზიციონერი დეპუტატი პატიმართა სიკვდილიანობისა და ტუბერკულოზით მკურნალობის საკითხითაც დაინტერესდა. მინისტრმა აღნიშნა, რომ სიკვდილიანობა პენიტენციალურ სისტემაში, ისევე როგორც გარეთ, იქნება.

— ვცდილობთ, კარგი სამედიცინო მომსახურება მივაწოდოთ პატიმრებს, ამას დიდ ყურადღებას ვაქცევთ, გვაქვს გეგმა. სამედიცინო კუთხით არის წინსვლა, — აღნიშნა ხათუნა კალმახელიძემ.

მინისტრი ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე მარტო ამ საკითხებზე სასაუბროდ არ მისულა. ხათუნა კალმახელიძემ დეპუტატებს პატიმრების გრძელვადიანი პაემნების შესახებ ახალი ცვლილებები გააცნო. კერძოდ, მას შემდეგ, რაც პარლამენტი კანონპროექტს მიიღებს, მსჯავრდებულს ოჯახის წევრთან გრძელვადიანი პაემანი 60 ლარი დაუჯდება.

მინისტრის მტკიცებით, ეს არის მინიმალური ოდენობა იმ ხარჯების უზრუნველსაყოფად, რაც გრძელვადიანი პაემნის სახით კონტაქტი იქონიონ ოჯახის წევრებთან თავისუფლების აღკვეთის ტერიტორიაზე.

ხანგრძლივი პაემანი არ მიეცემათ: დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს (გარდა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების) და იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც იმყოფებიან საკარანტინო რეჟიმში ან შეფარდებული აქვთ ადმინისტრაციული პატიმრობა.

ახალი ცვლილებების თანახმად, მსჯავრდებულებს შესაძლებლობა მიეცემათ, 1 წლის განმავლობაში ისარგებლონ ორი ხანგრძლივი პაემნით, ხოლო წახალისების სახით — დამატებით 1 ხანგრძლივი პაემნით.

არასრულწლოვან მსჯავრდებულებს შესაძლებლობა მიეცემათ, ერთი წლის განმავლობაში ისარგებლონ 3 ხანგრძლივი პაემნით, ხოლო წახალისების სახით — ერთი ხანგრძლივი პაემნით.

ვის ექნება პატიმართან ხანგრძლივი პაემანის უფლება?

მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს ხანგრძლივი პაემანი შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან, მშვილებელთან, დასთან და ძმასთან.

ხანგრძლივი პაემანის თაობაზე, ადამინისტრაცია წერილობით უნდა იყოს ინფორმირებული 2 კვირით ადრე.

ხანგრძლივი პაემანი გრძელდება არა უმეტეს 24 საათისა. ხანგრძლივი პაემნის მიცემის საკითხს წყვეტს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი.

ხანგრძლივი პაემნის მიცემის თაობაზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის თანხმობა ან მოტივირებული უარი მსჯავრდებულს ეცნობება წერილობით.

მინისტრის განმარტებით, ნებისმიერ ქვეყანაში გრძელვადიანი პაემანი არა აუცილებლობად, არამედ ფუფუნებად მიიჩნევა და შესაბამისად, იგი ხარჯებთანაც არის დაკავშირებული.

— ჩვენი მიზანია, რომ მსჯავრდებულებმა და მათთან მისულმა სტუმრებმა გრძელვადიანი პაემნებისათვის განკუთვნილ შენობებში თავი იგრძნონ ისე, როგორც სასტუმროში, ან საკუთარ სახლებში. იქ შექმნილი გარემო, ჰიგიენური პირობები, სერვისი, სამვარსკვლავიანი სასტუმროს ანალოგიური იქნება. ეს თანხა, 60 ლარი არის მინიმალური, რაც შეიძლება დაწესებულიყო, — განაცხადა ხათუნა კალმახელიძემ.

საკუთარი მოსაზრება გამოთქვა გრძელვადიანი პაემნების ფასთან დაკავშირებით „ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ. იგი გრძელვადიანი პაემნების ფასთან დაკავშირებით გარკვეული შეღავათების დაწესებას ითხოვს.

ჯონდი ბაღათურიას აზრით, აუცილებელია, რომ სოციალურად დაუცველებისთვის გარკვეული შეღავათები არსებობდეს. მისი თქმით, შესაძლოა ასეთი პირებისთვის ან მხოლოდ ცოლქმრებისთვის, წელიწადში ერთხელ მაინც გრძელვადიანი პაემანი უფასო იყოს.

ბაღათურია ეთანხმება გრძელვადიან პაემნებთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თუმცა, კანონპროექტის მეორე მოსმენის დროს, ფასთან დაკავშირებით გარკვეულ შეღავათების დაწესების მომხრეა.

ბაღათურია ამბობს, რომ იგი ხანგრძლივ პაემნებზე ხშირად საუბრობდა, მაგრამ ზოგიერთი მისი კოლეგა სკეპტიკურად იყო განწყობილი.

— გრძელვადიანი პაემნების დაჩქარებული წესით ამოქმედება მხოლოდ მე და პალიკო კუბლაშვილს გვჯეროდა, — დასძინა კომიტეტში ჯონდი ბაღათურიამ.

ჯონდი ბაღათურიას მინისტრმა უპასუხა. ხათუნა კალმახელიძის თქმით, ხანგრძლივი პაემანი უფასო რომ ყოფილიყო, ამ შესაძლებლობის ასე სწრაფად ამოქმედება შეუძლებელი იქნებოდა.

— გრძელვადიანი პაემნების უფასოდ განხორციელების შემთხვევაში ის ქართულ სინამდვილეში შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ დანერგილიყო, — აღნიშნა მინისტრმა.

რომელ დაწესებულებაშია მზად გრძელვადიანი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა?

გრძელვადიანი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა უკვე დასრულებულია არასრულწლოვანთა ნომერ მე-11, ასევე რუსთავის ნომერ მე-6 და ნომერ მე-16 სასჯელაღსრულებით დაწესებულებების ტერიტორიებზე.

კალმახელიძის თქმით, ეს პროცესი ეტაპობრივად ყველა სხვა დანარჩენ საპატიმრო დაწესებულებებში გაგრძელდება. არა უგვიანეს 2012 წლის 1 ივნისისა ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო პირობები უნდა შეიქმნას ყველა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში.

პაემნებისთვის 3-ვარსკვლავიანი სასტუმროს ტიპის შენობების მოწყობის საკითხზე გუშინ კომიტეტში საუბრობდნენ.

ხათუნა კალმახელიძე ამბობს, რომ იგი ევროპის ბევრი ქვეყნის შესაბამის დაწესებულებებს გაეცნო და მიაჩნია, რომ საქართველოში მოწყობილი ინფრასტრუქტურა გაცილებით უკეთესია, რადგან უფრო „მყუდრო და ჰუმანურია".

— ვამაყობ ამ პროექტით და მიხარია, — ასე შეაფასა ახალი პროექტი მინისტრმა.

ხათუნა კალმახელიძის განმარტებით, 3-ვარსკვლავიანი სასტუმროს ტიპის ოთახებში პატიმრები და მისი სტუმრები მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნობენ თავს. მათთვის იქნება სამჯერადი კვება, ასევე მაღაზიის მომსახურება, იქნება ეზო, ხოლო არასრულწლოვანი ბავშვებისთვის კი იქნება ცალკე საწოლი და სათამაშოები.

დეპუტატებს მინისტრმა არ დაუმალა, რომ იგი ძალიან ღელავს, რადგან სერიოზული და დიდი მნიშვნელობის პროექტი შედის ძალაში და ამიტომ საზოგადოებას სთხოვს, რომ თუ რაიმე ხარვეზი იქნება, „მას მიუტევონ".

— ვღელავ, რადგან ეს არის ახალი პროექტი და სანამ ის მოიქოქება, მინდა, რომ მან ხარვეზების გარეშე ჩაიაროს, — განაცხადა ხათუნა კალმახელიძემ.

რატომ შეირჩა გრძელვადიანი პაემნებისთვის ეს სამი დაწესებულება? ეს შეკითხვა ხათუნა კალმახელიძეს დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა დაუსვა.

კალმახელიძის თქმით, სრულიად გასაგებია, რატომ განხორციელდა ინფრასტრუქტურის მოწყობა არასრულწლოვანთა კოლონიაში, ხოლო რაც შეეხება რუსთავის მე-6 დაწესებულებას, იქ იმყოფებიან უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირები. კანონპროექტი კი, გრძელვადიანი პაემნების შესაძლებლობას მათაც აძლევს.

რუსთავის მე-16 დაწესებულებაში კი, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა კალმახელიძემ იმ გარემოებით ახსნა, რომ ხელისუფლებას სურდა, ერთი ასეთი დაწესებულება დედაქალაქის გარეთ ყოფილიყო.

ხათუნა კალმახელიძის მტკიცებით, აღნიშნულ 3 დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემნების ამოქმედების შემდეგ, ხელისუფლება შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას სხვა დაწესებულებებშიც გააგრძელებს და 2012 წლის 1 ივნისისთვის გრძელვადიანი პაემნის შესაძლებლობა ქვეყნის თითქმის ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ექნება.

## ტყიბულში მაღაროელთა გაფიცვა შეწყდა

ტყიბულში მაღაროელთა გაფიცვა შეწყდა. როგორც „ინტერპრესნიუსს" „ტყიბულის" მეშახტეთა პროფკავშირის სამდივნოს წევრმა, შპს „საქნახშირის" (ჯი-აი-ჯი ჯგუფის) ტყიბულის მინდელის სახელობის შახტის სამთო ოსტატმა გიორგი ბაბუხადიამ განუცხადა, ამ მომენტისთვის მაღაროებში მუშაობა აღდგენილია. გაფიცულები თავიანთ სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ იმ იმედით, რომ „საქნახშირის" ადმინისტრაციასთან მიღწეული შეთანხმება შესრულდება.

ბაბუხადიამ აღნიშნა, რომ „საქნახშირის" ადმინისტრაციულ შენობაში გუშინ გარკვეული შეთანხმება შედგა და ხელშეკრულება გაფორმდა. შეხვედრას „საქნახშირის" გენერალური დირექტორი, ზაზა სადუნიშვილი, გაფიცული მეშახტეები და დარგობრივი პროფკავშირის ხელმძღვანლები ესწრებოდნენ.

მიღწეული შეთანხმებით, მაღაროს ადმინისტრაციამ მაღაროელების ხელფასების ოდენობას უნდა გადახედოს და მეშახტეთა სამუშაო პირობების უსაფრთხოების კუთხით ღონისძიებები უნდა გაატაროს.

ბაბუხადიამ ასევე განაცხადა, რომ I ეტაპზე საუბარია ტრანსპორტის უბნის მუშების ხელფასების 15-35%-მდე გაზრდაზე, რომელთა ხელფასი ამჟამად 250 ლარია. თანხების ოდენობის განსასაზღვრად შეხვედრები მაღაროს ადმინისტრაციასთან გაგრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

## ხელისუფლება ინფლაციის ხელოვნურ სტიმულირებაში დაადანაშაულეს

„ეროვნული ფორუმი" და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია" ხელისუფლებას ინფლაციური პროცესების ხელოვნურ სტიმულირებაში ადანაშაულებენ.

ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციურ პროცესებთან დაკავშირებით, „ეროვნული ფორუმის" ოფისში გუშინ პრესკონფერენცია გამართეს პარტიის ეკონომიკური მიმართულებების ხელმძღვანელმა ნოდარ ჯავახიშვილმა და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის" პრეზიდენტმა მერაბ ჯანიაშვილმა. ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, ხელისუფლებას შეუძლია აკონტროლოს ქვეყანაში ინფლაციური პროცესები, თუმცა ამას შეგნებულად არ აკეთებს.



— ეროვნულ ბანკს აქვს უამრავი ინსტრუმენტი იმისა, რომ ფულის მასა არეგულიროს. ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი საერთაშორისო სავალუტო რეზერვებია და ამ რეზერვებმა ქვეყანაში 2 მილიარდს გადააჭარბა და ამ სახსრებით, თავისუფლად შეუძლია „ეროვნულ ბანკს", რომ არ დაუშვას ინფლაცია, — განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

მერაბ ჯანიაშვილის განცხადებით, ხელისუფლება ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ინფლაციის გამომწვევი მთავარი მიზეზი მსოფლიოში კვების პროდუქტების გაძვირებაა, თუმცა ეს ასე არ არის.

— არ საუბრობენ იმაზე, რომ თუ რატომ აისახება ეს გაძვირება მხოლოდ საქართველოზე. 2010 წელს უკრაინაში ბოლო 8 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი ინფლაცია დაფიქსირდა, რომელმაც 9,1% შეადგინა. ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენს მეზობელ სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც როგორც წესი, მაღალი, ორნიშნა ინფლაციით ხასიათდებიან ხოლმე, მაგრამ წელს, რატომღაც, იქ ბოლო ათწლეულში ინფლაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა. რუსეთში — 8,8%, აზერბაიჯანში — 5.7%, — განაცხადა მერაბ ჯანიაშვილმა.

მისი თქმით, გაუგებარია, თუ მსოფლიოში ხორბლის ფასის გაძვირებამ საქართველოში 11,2%-იანი ინფლაცია გამოიწვია, იმავე ხორბლის გაძვირებამ სომხეთში რატომ არ წარმოშვა ორნიშნა ინფლაცია, რომელიც იმპორტზე საქართველოზე მეტადაა დამოკიდებული?!

„ეროვნული ფორუმი" და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია" მიმართავენ მთავრობას და „ეროვნულ ბანკს", აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა საქართველოში არსებულ ორნიშნა ინფლაციაზე და მის გადასაჭრელად ქმედითი ნაბიჯები გადადგან.

**ინტერპრესნიუსი**

## რუსეთის ხელისუფლება საქართველოსათვის სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას გეგმავს

რუსი მწერლისა და ჟურნალისტის, ალექსანდრე პროხანოვის მტკიცებით, რუსეთის ხელისუფლება საქართველოსათვის სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას გეგმავს, რისთვისაც კრემლი კოკოითის შემცვლელად ისეთი კანდიდატურის შერჩევას ცდილობს, რომელიც საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის კონფედერაციული ურთიერთობების დამყარებაზე უარს არ იტყვის.

ამის შესახებ ალექსანდრე პროხანოვმა „ეხო მოსკვის" გადაცემაში „განსაკუთრებული აზრი" პირდაპირ ეთერში განაცხადა.

— ნოემბერში სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. კრემლი კოკოითის შემცვლელად ძალიან სუსტ ადამიანს არჩევს, რომელიც საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის კონფედერაციული ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას დათანხმდება, — განაცხადა ალექსანდრე პროხანოვმა.

მისივე მტკიცებით, ამგვარი ე.წ. ექსტრავაგანტული, ლიბერალური პროექტი რუსეთის ხელისუფლებაში სერიოზულად განიხილება და მიზნად სააკაშვილის შეცვლასა და საქართველოს მმართველობაში ოპოზიციის მოსვლას ითვალისწინებს.

— ამ ლიბერალურმა პროექტმა უკვე მიიღო ტექნოლოგიური მხარდაჭერა და მისი რეალიზება ზაფხულში დაიწყება. ვფიქრობ, სწორედ ზაფხულში დაიწყებს კრემლი კოკოითის შემცვლელის წინა პლანზე წამოწევას, — დასძინა ალექსანდრე პროხანოვი, რომლის აზრითაც, ის რაც კრემლს სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით აქვს ჩაფიქრებული რუსი პატრიოტებისთვის აბსოლუტურად მიუღებელია და თუ კრემლმა მის მიერვე შემუშავებული გეგმის რეალიზება დაიწყო, ეს ოს და რუს ხალხზე ძალადობის გამოვლინება იქნება.

პროხანოვი წუხილს გამოთქვამს, რომ კრემლის ლიბერალები რუსეთისაგან კავკასიის ჩამოშორების გეგმებზეც მუშაობენ.

**ინტერპრესნიუსი**

# მინისტრები საჩუქრებს ველარ მიიღებენ

ნანა მიშელაშვილი

სახელმწიფო მინისტრებსა და მათ მოადგილეებს საჩუქრების მიღების შეზღუდვები დაუწესდებათ. აქამდე ეს შეზღუდვები მათ არ ჰქონდათ.

მას შემდეგ, რაც პარლამენტი ახალ ცვლილებებს მიიღებს, სახელმწიფო მინისტრებსა და მათ მოადგილეებს ქონებრივი დეკლარაციის წარდგენა დაევალებათ და საჩუქრების მიღებაზე შეზღუდვები ექნებათ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა: კახა ანჯაფარიძემ და ზვიად კუკავამ ცვლილებები მოამზადეს, რომლის თანახმადაც, დაწესებული შეზღუდვები და რეგულირების წესები სახელმწიფო მინისტრსა და მის მოადგილეზეც გავრცელდება.

აქამდე მოქმედი კანონში ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს შორის არ არის სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილე, რაც თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას გაურკვევლობას იწვევს.

ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების გარდა, კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, სახელმწიფო მინისტრს და მის მოდგილესაც დაეკისრებათ ვალდებულება, რომ წლის განმავლობაში მათ მიერ მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ აღემატებოდეს მათი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა — 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

ასევე, მათი ოჯახის თითოეული წევრის მიერ წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა — 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან. ამ შემთხვევაში შეზღუდვა, დიპლომატიურ საჩუქრებზე არ ვრცელდება.

კანონპროექტის განხილვა საგაზაფხულო სესიაზე მოხდება, რის შემდეგაც სახელმწიფო მინისტრებს საჩუქრების მიღებაზე შეზღუდვები ექნებათ. ამჟამად საქართველოში სამი სახელმწიფო მინისტრია: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, რეინტეგრაციის საკითხებში და დიასპორის საკითხებში.

## „თავისუფალი საქართველო“ ბური ფერმერების ლობირებაში სანდრა რულოვსს ადანაშაულებენ

„თავისუფალი საქართველო“ საქართველოში ბური ფერმერების შესაძლო ჩამოსახლებას აპროტესტებს.

როგორც პრესკონფერენციაზე „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელმა მირიან ნიკოლაძემ განაცხადა, ისინი სამხრეთ აფრიკიდან ბური ფერმერების საქართველოში ჩამოსახლებაში ხედავენ დემოგრაფიულ საფრთხეს. ნიკოლაძემ განმარტა, რომ კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში გაცილებით კარგი ფერმერები არიან და კარგად ესმით სოფლის მეურნეობა, ვიდრე ბურებს და ხელისუფლების თუ ამ სფეროს განვითარება სურდა, ფერმერები სხვა ქვეყნებიდან უნდა ჩამოეყვანა.

მისივე განცხადებით, ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ბურებთან დაკავშირებით, არის დაკავშირებული სანდრა რულოვსის და ჰოლანდიის ინტერესებთან და სწორედ პირველი ლედი ლობირებს ბური ფერმერების საქართველოში ჩამოყვანას.

ნიკოლაძის განცხადებით, სამხრეთ აფრიკელი ბურები ჰოლანდიური წარმოშობის არიან, მათ ადგილობრივი შავკანიანი მოსახლეობა ავიწროებს და ამიტომაც სურთ საქართველოში ჩამოსახლება.

**ინტერპრესნიუსი**

## კახა ბაინდურაშვილს რვა მოადგილე ეყოლება

საქართველოს ფინანსთა მინისტრს, კახა ბაინდურაშვილს კიდევ ერთი ახალი მოადგილე ეყოლება.

მინისტრის მერვე მოადგილედ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი გრიგოლ ბაიბურთი ინიშნება.

მოადგილის თანამდებობის პარალელურად, ბაიბურთი მომსახურების სააგენტოს უფროსის თანამდებობასაც შეინარჩუნებს.

**ინტერპრესნიუსი**

## ელისო კილაძე „ქართული პარტიის“ წარმომადგენელს მუქარაში ადანაშაულებს

„თავისუფალი აზრის სახლის“ წარმომადგენელი ელისო კილაძე „ქართული პარტიის“ ადმინისტრაციის უფროსს ვახტანგ ბეგიაშვილს მუქარაში ადანაშაულებს.

როგორც პრესკონფერენციაზე ელისო კილაძემ განაცხადა, ბეგიაშვილი მას სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა და უთხრა, რომ მას სასტიკად დასჯის.

ელისო კილაძე აცხადებს, რომ „ქართული პარტიის“ ადმინისტრაციის უფროსის მხრიდან მუქარები უკავშირდება ოპოზიციის დაფინანსებასთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებულ მის წერილებს. მისი თქმით, ის ჟურნალისტია და მისი წერილები, რომლებიც უკავშირდება ბადრი პატარკაციშვილის მხრიდან გაერთიანებული ოპოზიციის დაფინანსებას, კვლავ გამოქვეყნდება და არ აპირებს, რომ მუქარების გამო წერა შეწყვიტოს. ელისო კილაძე აღნიშნავს, რომ ეს თუ არ არის „ქართული პარტიის“ პოზიცია, სოზარ სუბარმა უნდა გააკეთოს შესაბამისი განმარტებები.

**ინტერპრესნიუსი**

## სახალხო კრება ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას აპირებს




სახალხო წარმომადგენლობითი კრებამ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ რიგით მეორე შეხვედრა გამართა.

შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო. მოკლე კომენტარები კრების დაწყებამდე მხოლოდ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ და სახალხო წარმომადგენლობითი კრების სპიკერმა გოგი ქავთარაძემ გააკეთეს.

ბურჯანაძის თქმით, შეხვედრის მიზანია, სახალხო წარმომადგენლობითი კრების წევრებს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარუდგინონ; ასევე, მოხდეს საერთო აზრის ფორმირება მომავალ გეგმებთან დაკავშირებით.

გოგი ქავთარაძის თქმით კი, ქვეყანაში მძიმე სოციალური მდგომარეობაა და ხელისუფლება მოსახლეობას, მათ შორის დევნილებსა და ვეტერანებს განსაკუთრებული ცინიზმით ეპყრობა.

ქავთარაძის თქმით, სახალხო წარმომადგენლობით კრებას უკვე მომზადებული აქვს დარგობრივი პროგრამები, რაც ქვეყანას მძიმე ვითარებიდან გამოიყვანს.

შეხვედრაში სხვადასხვა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების, ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ.

შეხვედრის დროს ნონა გაფრინდაშვილი სათათბირო დარბაზს წევრობის კანდიდატებს წარუდგინა. ირაკლი ბათიაშვილმა კი, გასული წლის 8 დეკემბრიდან დღემდე აღმასრულებელი საბჭოს მიერ განხორციელებულ ანგარიშს გააცნო. სახალხო კრების სამოქალაქო წინააღმდეგობის კომიტეტების მნიშვნელობისა და ფუნქციონირების შესახებ მოხსენება გააკეთა ნინო ბურჯანაძემ.

„შეფიცულების წესების“ დამტკიცებასთან დაკავშირებით ზაქარია ქუცნაშვილმა ისაუბრა.

**ინტერპრესნიუსი**

## საგარეო უწყება ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს თანამშრომელთა ევაკუირებას არ აპირებს

ეგვიპტიდან საქართველოს მოქალაქეებისა და ქართველი დიპლომატების ევაკუირება არ იგეგმება.„ამ ეტაპზე ევაკუაციის დაწყებას არ ვაპირებთ, თუმცა ევაკუაციის შემთხვევაში ეს არა მხოლოდ დიპლომატებს შეეხება, არამედ საქართველოს ყველა მოქალაქე სამშობლოში დაბრუნდება„, — განუცხადა „მედიანიუსს“ საგარეო უწყების პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ია მახარაშვილმა.

ცნობისათვის: გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ეგვიპტიდან თავისი თანამშრომლების ევაკუაციის პროცესი დაიწყო. შესაბამისი პროცესი უკვე დაასრულეს მსოფლიოს რამდენიმე სახელმწიფომ, მათ შორის: აშშ-მ, კანადამ, ისრაელმა, ავსტრალიამ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტის ქალაქებში არეულობა გრძელდება. ამჯერად ერთმანეთს პრეზიდენტ მუბარაკის მომხრეები და მოწინააღმდეგეები დაუპირისპირდნენ. შეტაკებებს მსხვერპლიც მოჰყვა.

**მედიანიუსი**









# ვის გადააბარებს სააკაშვილი ხელისუფლებას

## რას მოგვიტანს მ იმე ეკონომიკური ვითარება

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილთან

***— ბატონო გიორგი, ტუნისში, ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებზე რაიმე სახით შეიძლება ქართულმა ოპოზიციამ, საზოგადოებამ აქცენტები გააკეთოს?***

— ტუნისი, ეგვიპტე, ლიბანი ყველგან მოვლენები ერთად და ინტენსიურად განვითარდა. ეს მოვლენები რაღაც კანონზომიერებას უკავშირდება. მთლიანად არასტაბილურია საერთაშორისო სიტემა. საერთაშორისო სისტემა ახლა ტრანსფორმირებას განიცდის. თუ დროზე არ იქნება მიღებული ზომები, შეიძლება ამ პროცესმა ძალიან დესტრუქციული ხასიათი მიიღოს.

***— რა ზომებს გულისხმობთ?***

— ვგულისხმობ კონფლიქტებისადმი დამოკიდებულებას ან კონფლიქტებში ჩარევის, მოგვარების საერთაშორისო მექანიზმებს, რომელიც ძალიან სუსტია და უმოქმედო, რაც არ აძლევს საერთაშორისო თანამეგობრობას საშუალებას, რომ დროულად იმოქმედოს იქ სადაც სიტუაცია იძაბება. რაც შეეხება ეგვიპტეს აქ ძირითადი ფაქტორი იყო ის, რომ პიროვნებას, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში მართავდა ქვეყანას, ახასაიათებდა დიქტატორის ნიშნები. დიქტატურული მმართევლობა ეგვიპტეში მომაკვდინებელი იყო საზოგადოებისთვის. სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან მქონდა შეხვედრები და ვიცი, რა საშინელ მდგომარეობაში იყო ეგვიპტელი ხალხი. ამ პირობებში, როდესაც ხალხმა დაინახა, რომ ცვლილებების შანსი გაჩნდა, რა თქმა უნდა, ქუჩაში გამოვიდნენ და მოითხოვეს ცვლილებები. ფაქტიურად სახალხო რევოლუციაა. არ მინდა ჩვენს სიტუაციას შევადარო ეგვიპტის მოვლენები, არც შევარდნაძის პიროვნება მინდა მუბარაქს შევადარო, მაგრამ რაღაც მსგავსება მაინც არის. ლიდერი, რომელიც თავის დროზე შეიძლება ძალიან ეფექტური იყოს, მნიშვნელოვანი ფიგურა ქვეყნისთვის, დროთა განმავლობაში, როდესაც ხანდაზმულია და დიდხანს რჩება თავის სავარძელზე, ვიდრე დასაშვებია მისი შრომისუნარიანობის, მმართველობის უნარს თუ სცილდება ამას დესტრუქციული მოვლენები მოჰყვება ხოლმე. გადაჭარბებული ვადით გაჩერებული მმართველი სიტუაციაზე გავლენას ვერ ახდენს და ძალაუფლებას ებღაუჭება. ეს არის ფენომენი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა პირობებში თავს იჩენს. ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი ღირებულება მმართველისთვის ხდება საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება და საკუთარ საზოგადოებას, ხალხს უპირისპირდება. ამ სიტუაციის დისონანსად მინდა გავიხსენო ბორის ელცინი. ყველა ამბობდა, რომ ის არის კაცი, რომელიც ვერ აზროვნებს, მაგრამ ძალიან კარგად აზროვნებდა. მოტვინა, როდესაც მას პრობლემები შეექმნა ძალაუფლებასათნ დაკავშირებით, რომ დაეტოვებინა მემკვიდრე.

***— თუმცა, როგორი მემკვიდრე დატოვა პუტინის სახით...***

— თავისთვის ძალიან კარგი. გარანტია შეიქმნა თავისთვის და ოჯახისთვის. არაფრისთვის პასუხი არ მოეკითხებოდა, რომელიც მან ჩაიდინა პრეზიდენტობის დროს.

***— ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო...***

— დიახ, ხელშეუხებლობის ერთგვარი გარანტია მიიღო. ამ მხრივ ძალიან ჭკვიანურად მოიქცა.

***— ისევ ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებს რომ დავუბრუნდეთ, კლინტონმა უკვე მოუწოდა ეგვიპტის ხელისუფლებას, რომ ხელისუფლების გადაბარების პროცესი დაიწყოს...***

— მმართველი ცდილობს ოპოზიციას შესთავაზოს გეგმა, რომ ის წავა იმ დროს, როდესაც ლეგიტიმური არჩევნების დრო მოვა, რომ იქამდე მოამზადებს ძალაუფლების ტრადიციის გადაცემისთვის ყველაფერს და არჩევნების საფუძველზე, კონსტიტუციურად წავა, მაგრამ ხალხი ამ გეგმას არ სჯერდება. ხალხი მოითხოვს დაუყოვნებლივ ცვლილებებს. ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ ეგვიპტეში მოვლენები ვერ გაჩერდება. მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურად ჯობია ხელისუფლამ არჩევნებამდე მიიყვანოს პროცესი და კონსტიტუციურად მოხდეს ცვლილება, მაგრამ ეს ეჯახება ხალხის მოუთმენლობას, რადგან თუ მმართველს მიეცა ძალაუფლების კონსოლიდაციის შანსი მერე შეიძლება შეტრიალდეს სიტუაცია, გააყალბოს არჩევნები, ისევ ძალები მოიკრიბოს და არ მოხდეს ხელისუფლების შეცვლა.

***— მსგავსი მოვლენები შეიძლება ვიღაცისთვის იმპულსი იყოს?***

— გამოქვეყნდა დიქტატორების სია, რომლებიც აუცლებლად უნდა ელოდნენ იმას, რომ მათ აუცილებლად გადააყენებენ.

***— სიაში არის ირანის პრეზიდენტიც...***

— ირანის პრეზიდენტიც და ლუკაშენკოც, მაგრამ რამდენად გამართლებულია, რომ მსოფლიოში მსგავსი სიები დგებოდეს, ასეთი მიდგომა იყოს. ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ქვეყნის შიგნით ვინ არის გადასაყენებენი და ვინ არის შესანარჩუნებელი. ასეთი სიები წესით არ უნდა დგებოდეს.

***— თუცმა, ფაქტია, რომ ზესახელმწიფოები კარნახობენ პატარა ქვეყნებს, ვინ უნდა იყოს და ვინ არა...***

— ეს არ არის ნორმალური. ეს არის სამწუხარო რეალობა, რომ ზესახელმწიფოები მსოფლიოში დანარჩენებს კარნახობენ, ვინ როგორ უნდა იცხოვროს, მაგრამ ეს არ არის ნორმალური. ნორმალურია, როდესაც ხალხი იღებს გადაწყვეტილებას, საიდანაც აკეთებენ ზესახელმწიფოები დასკვნას და აგებენ ურთიერთობებს.

***— ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ ჩევნი პრეზიდენტის ბედი გადაწყვეტილია, რომ საერთაშორისო პოლიტიკა მის მიმართ ლოიალურად არ არის განწყობილიო. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

— ბევრჯერ მქონია საუბარი სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ამერიკის დიპლომატიურ წრეებში და შემიძლია ვთქვა, რომ დამოკიდებულება ლოიალურია. როგორც კი მოახერხა ამ ხელისუფლებამ 2009 წლის კრიზისული ზაფხულის მოვლენების შემდეგ კონსოლიდირება, როგორც კი მოახერხა ისეთი მეთოდით ქვეყნის მართვა, რომ დაპირისპირება და ექსცესები არ გამოეწვია, მაშინვე ევროპამ და ამერიკამ გადაწყვიტა: ჩვენ ახლა უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც გვაქვს, საქართველოში სიტუაცია სტაბილურია და ამიტომ მხარი დავუჭიროთ იმ ხელისუფლებას, რომელიც არის იმის ფონზე, რომ ოპოზიცია სუსტია, გაბნეულია, ერთიანი არ არის და მათთან საქმის დაჭერას აზრი არ აქვს.

***— ეს დამოკიდებულება გრძელდება?***

— გრძელდება. ერთი, დამოკიდებულია მოახლოვებულ არჩევნებში ხელისუფლება შეცდომას დაუშვებს თუ არა. მეორე, რამდენად გაქაჩავს ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა. კონსოლიდაცია და სტაბილურობა იყო იმის გამო, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენ მივიღეთ დიდი დახმარება.

***— მილენიუმის პროგრამაზე საუბრობს ხელისუფლება, საიდანაც თანხებს ელოდება, ეს არ მოაგვარებს პრობლემებს?***

— ახალი დახმარებების გააქტიურება ხდება, მაგრამ იმ დონის მაინც ვერ იქნება. ფარული ინფლაცია იზრდება. ლარი შიდა ბაზარზე სტაბილური რომ არის, ეს არაფერს ნიშნავს. ეს მხოლოდ შიდა ბაზარზეა, მაგრამ ფასები რომ იზრდება. ფასების ზრდა ინფლაციის მაჩვენებელია.

***— სოციალურად კრიტიკულ სიტუაციას გადააგორებს ხელისუფლება?***

— თეორია გაჩნდა: რადგან ეკონომიკური სიტუაცია გამწვავდა, რადგან დიდი ინვესტიციები არ ხდება, დაუსაქმებელია მოსახლეობის ძალიან დიდი პროცენტი, უმუშევრობა ნომერ პირველი პრობლემაა ქვეყანაში (რაც ენდიაის გამოკვლევამაც გვაჩვენა), შეიძლება ხელისუფლებამ იფიქროს დროზე ადრე წასვლაზე, არ ვგულისხმობ ვადამდელ არჩევნებს, რაზეც ამ ბოლო დროს ხშირია საუბარი, ვსაუბრობ იმაზე, რომ ემზადოს მართლაც გადააბაროს ხელისუფლება სხვა ჯგუფს.

***— რომელ ჯგუფს?***

— ძალაუფლების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ გუნდის შიგნით მოხდეს. ეს კარგად თქვა თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა: ის კი, არ არის მთავარი, მე პრეზიდენტად ან პრემიერ-მინისტრად დავრჩეო, მთავარია გუნდი დარჩეს ხელისუფლებაში. ეს არის ის ბოლო ზღვარი, რომლის იქით ხელისუფლება არ წავა. არანაირ ოპოზიციას, არც დესტრუქციულს, არც კონსტრუქციულს ისინი ხელისუფლებას არ გადააბარებენ. რადგან ეს თუ მოხდა, მოხდება მათი სრული დისკრედიტაცია და მოკითხვა დაკარგული ტერიტორიების, დევნილების საკითხის, ამაზე ხომ უნდა აგოს ვილაცამ პასუხი. ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ, რომ არასოდეს ამაზე პასუხი არ აგონ.

***— კულუარებში საუბარია გიგა ბოკერიაზე, რას იტყვით?***

— რატომლაც ეს ეწინააღმდეგება იმ სიტილს, რომელიც აქამდე ამ კაცს ჰქონდა. ის ყოველთვის მეორე როლზე იყო, მაგრამ სერიალურად მართავდა სიტუაციას, მაგრამ არის ადამიანი, რომელიც მართავს სიტუაციას და პირველ როლზეც არის. ეს არის ვანო მერაბიშვილი. შიგნით, რა თქმა უნდა, არის კონკურენცია და გარკვეულ ჯგუფებად დაყოფა. არ გამოვრიცხავ იმას, რომ იმ შემთხვევაში თუ უარესი სცენარი განვითარდა, ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით, მაშინ ამჯობინოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა არც პრემიერ-მინისტრად დარჩეს. თუმცა, ამას ეწინააღმდეგება მისი ბუნება, რომელიც ვერ ეგუებოდა ვერასოდეს მეორე როლებს. თუმცა, მათ ხომ იციან, რომ ცუდად არის საქმე ქვეყანაში ეკონომიკურ-სოციალური კუთხით, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ამან პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს.



# რუსეთის გარდა სხვა მეგობრები არ გვყავს



გერა მამულაშვილი

**აფხაზ სეპარატისტთა ლიდერ სერგეი ბაღაფშთან ინტერვიუს „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ აქვეყნებს. მასალას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.**

***— 2011 წელს რუსეთის ბიუჯეტიდან აფხაზეთისთვის 4,3 მილიარდი რუბლის გამოყოფაა დაგეგმილი...***

— ცოტა უფრო მეტიც. ჩვენ 2005 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტი 7,5-ჯერ გავზარდეთ. რესპუბლიკა ჩავიბარე, როდესაც ბიუჯეტი 400 მილიონ რუბლს შეადგენდა. დღეს აფხაზეთის ბიუჯეტი 2,5 მილიარდი რუბლია, ხოლო მომავალი წლისთვის მთავრობას დავუსახე ამოცანა, რომ ბიუჯეტი კიდევ 800 მილიონი რუბლით გაიზარდოს. რუსეთმა წელს უკვე 3 მილიარდის დახმარება გაგვიწია, ხოლო მთლიანობაში სამი წლის მანძილზე მოსკოვი 11 მილიარდის გამოყოფას აპირებს.

***— შეგიძლიათ პირობა დადოთ, რომ გამოყოფილი თანხებიდან 10 პროცენტი ისევ არამიზნობრივად არ დაიხარჯება?***

— 100 პროცენტით.

***— განხორციელდება თუ არა აფხაზეთში მასობრივი პრივატიზაცია საკურორტო სფეროში?***

— არა, ჯერჯერობით არა. ჩვენ ამჟამად კურორტ ბიჭვინთის სერიოზულ რეკონსტრუქციას ვიწყებთ. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ „ვნეშეკონომბანკთან“, რათა ექსპლუატაციის ერთობლივი გეგმა მოვიფიქროთ — იქნება ეს ერთობლივი საწარმო თუ გრძელვადიანი იჯარა. ჩვენ გვსურს, მთელი ბიჭვინთის კურორტი სრულ რეკონსტრუქციაზე დავაყენოთ. უკვე არსებობს შესაბამისი გეგმაც. იქ სანაპიროზე პატარა რესტორანია, სწორედ აქედან გვინდა დავიწყოთ. მერე „მაიაკის“ უკიდურეს კორპუსს გავაკეთებთ და ამ გზით გავაგრძელებთ მოძრაობას — დავხურეთ ზონა, აღვადგინეთ, დავხურეთ — აღვადგინეთ. ეს ძვირი და რთული პროექტია — „ვნეშეკონომბანკის“ გარდა ამას თავს ვერავინ მოაბამს.

***— და მაინც, პრივატიზაციის გარეშე ამ სექტორში რუსულ ინვესტიციებს როგორ მოიზიდავთ?***

— კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის 49-წლიანი, გრძელვადიანი იჯარა.

***— მე შემიძლია რუსული პასპორტით სანატორიუმი იჯარით ავიღო აფხაზეთის ტერიტორიაზე?***

— იჯარის წესით — რა თქმა უნდა. ჩვენში იჯარით ისედაც რუსი ბიზნესმენები იღებენ ობიექტებს, ხოლო ყიდვა მხოლოდ აფხაზური პასპორტით არის შესაძლებელი.

***— ეს წესი არ შეიცვლება?***

— არა, შეიცვლება, მაგრამ — ეტაპობრივად. მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული — დაე, ამ განცხადებამ კვლავ გამოიწვიოს ოპოზიციის ხმაური — საჭიროა, რუსეთის მცხოვრებლებს აფხაზეთში საცხოვრებლის და უძრავი ქონების ყიდვის უფლება მივცეთ. მაგრამ რადგანაც ადამიანების განწყობილება ვიცი, მე სხვა ვარიანტით წავედი. ამჟამად პარლამენტი ამზადებს კანონპროექტს, რათა პირველადი საცხოვრებლის გაყიდვა დაიწყოს. ანუ ავაშენებთ ახალ სახლს ქალაქში, ადამიანი მოვა და მისთვის აუცილებელი არ იქნება იქ პირველადი საცხოვრებელი შეიძინოს. ვყიდით ბინას, რომელიც მას ექნება, ის ჩამოდის ორ-სამჯერ წელიწადში, ისვენებს. ჯერჯერობით ამ ვარიანტით წავალთ, მაგრამ ყველა შემთხვევაში მივალთ იქამდე, რომ უფლებას მივცემთ რუსეთის მოქალაქეებს, საცხოვრებლები შეიძინონ აფხაზეთში.

***— რა სკანდალი იყო გასულ წელს რუსეთისთვის რამდენიმე ობიექტის გადაცემასთან დაკავშირებით, როდესაც გაირკვა, რომ ის ობიექტები ისედაც რუსული იყო?***

— საუბარი შეეხება გორბაჩოვის აგარაკს მიუსერაში. როდესაც ჩვენ გავახმაურეთ გადაწყვეტილება, გადაგვეცა იგი რუსეთის ხელმძღვანელობისთვის, წავიდა საუბრები თითქოს ბაღაფშს რუსეთისთვის სამთავრობო აგარაკების უფასოდ გადაცემა სურს. მაგრამ გაგრაში აგარაკი უკვე დიდი ხანია პრივატიზებულია და გადაცემულია კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციისთვის, ეს ჯერ კიდევ ვლადისლავ არძინბას პრეზიდენტობის დროს მოხდა.

ბიჭვინთის „დევიატკაც“ ჯერ კიდევ იმ დროს არის გადაცემული. რჩება მიუსერა, რომელიც თავის დროზე „როსობორონექსპორტს“ იჯარით გადაეცა. რა თქმა უნდა, ამ აგარაკზე ჩვენ ვერ გავქაჩავთ, იქ 400 ჰექტარი ტერიტორიაა. ოპოზიციის წარმომადგენლებს ვეუბნები: რუსეთის პასპორტები გსურთ? დიახ. რუსული პენსია? დიახ. სამ წელიწადში 11 მილიარდი რუბლის დახმარება? დიახ. საზღვარზე კარგად და უპრობლემოდ გავლა გინდათ? პასპორტთან დაკავშირებით არანაირი პრობლემები არ გაქვთ. მოსკოვში უფასოდ მკურნალობისთვის რუსეთი გეხმარებათ. თქვენთვის საზღვარს აშენებენ. აქ 1600 რუსეთის მესაზღვრე დგას. სამხედრო ბაზა დგას. უსაფრთხოება არის. თქვენ კი გინდათ, რომ არავის არაფერი მისცეთ? ასე არ ხდება ხოლმე.

ჩვენ რა, მიწას ვაძლევთ ვინმეს? ის ადამიანი, ვისაც მიუსერას ვაძლევთ, ჯიბეში ჩაიდებს მას და წაიღებს? ეს ხმაურის ატეხვისთვის მხოლოდ მიზეზია, მეტი არაფერი. სურთ, რომ რუსეთთან წაგვაჩხუბონ, ეს ოპოზიციის დღის წესრიგში ნომერ პირველი საკითხია. რისთვის აკეთებენ ამას, გაუგებარია. მათ, ოპოზიციას ვეუბნები: მეორე საპრეზიდენტო ვადა მიმთავრდება, კიდევ კენჭისყრას არ ვაპირებ, ხოლო თქვენ უნდა იმუშაოთ. თუკი აფხაზეთში რუსეთის ხელმძღვანელობა ჩამოვა, ეს მომგებიანია. წამოვა ინვესტიციები, იქნება უსაფრთხოების გარანტიები, განვითარება.

რუსეთი — მეგობრული ქვეყანაა. თქვენ გყავთ ვინმე სხვა, ვისაც დაეყრდნობით? თუ გყავთ ამერიკელები, ასეც თქვით: აი, ჩვენ გვყავს ამერიკელები, მათთან დიალოგის წარმართვა გვსურს, მათთან ვისაუბრებთ, ანდა თურქეთთან. მოძებნეთ ქვეყანა და წინ, მეგობრებო! ხოლო მე ვაკეთებ იმას, რასაც აფხაზი ხალხი ამბობს. ჩვენ უკვე შევარჩიეთ, ვისთან ავაშენოთ შემდგომი ურთიერთობები ცხოვრებაში.

***— როგორ შეეთავსება მრავალტანჯული აფხაზური დამოუკიდებლობა რუსეთთან ასეთ მჭიდრო კავშირს?***

— ისევე, როგორც შეეთავსება, მაგალითად, ლიტვის და ევროკავშირის და ნატოს სხვა წევრების მონაწილეობა ამ ორგანიზაციებთან. ჩვენ გავიზარდეთ რუსეთთან ერთად, იქ ვიღებდით განათლებას, ამ კულტურაზე ვართ გაზრდილნი. ჩვენ სხვა მეგობრები არ გვყავს. რუსეთის გარდა ვისთან ერთად უნდა ვიმოძრაოთ? ამ თემით სპეკულირება არ შეიძლება.

***— როგორი მიდის საქმე თქვენი დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით?***

— ამ პროცესის ფორსირებას არ ვახდენთ, მაგრამ ველოდებით, რომ ეს პროცესი გაგრძელდება. ვმუშაობთ ახლო აღმოსავლეთშიც, სამხრეთ ამერიკაშიც; ამჟამად საგარეო საქმეთა სამინისტროს დიდი დელეგაცია პერუში მიემგზავრება. პროცესი გაგრძელდება. ვიმედოვნებ, რომ ბელორუსებთანაც მშვიდად მოვძებნით საერთო ენას. ლუკაშენკოსთან ერთ-ერთი შეხვედრისას დავსვით საკითხი, თუ რატომ იწელება აღიარების პროცესი. მესმის რა ხდება, მაგრამ ყველასთან ვინარჩუნებთ ნორმალურ ურთიერთობას.

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუბილარია

ეკა ირემაშვილი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუბილარია. თსუ-ში ორმაგი საიუბილეო განწყობაა — უნივერსიტეტის დაარსებიდან 83, ხოლო იურიდიული ფაკულტეტის შექმნიდან 89 წელი შესრულდა.**

**თსუ-ში 7 თებერვლის ჩათვლით იურიდიული ფაკულტეტის 89 წლის და უნივერსიტეტის 83 წლის იუბილისადმი მი ღვნილი კვირეული გაიმართება. კვირეული იურისტი მეცნიერების ფოტოგამოფენით გაიხსნა. გამოფენის პარალელურად ლადო ჭანტურიას წიგნის „კავკასიისა და ცენტრალური აზიის კერ ო სამართალი“ პრეზენტაცია შედგა.**

საიუბილეო კვირეულის ფარგლებში დაგეგმილია ორდღიანი სტუდენტური კონფერენცია, პროექტ „ნაფიცი მსაჯულისა“ და თსუ-ის პროფესორების მიერ გერმანული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის თარგმანის პრეზენტაცია; ნუგზარ სურგულაძის იუსტინიანეს დიგესტების ქართული თარგმანისა და იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის გიორგი კახიანის მონოგრაფიის „კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმები“ წარდგენა.

4 თებერვალს, კვირეულის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ოჰაიოს შტატის სამხრეთ ოლქის მთავარი პროკურორი კარტერ სტიუარტი ესტუმრება, რომელიც წაიკითხავს ლექციას თემაზე „ამერიკელი პროკურორის როლი“.

იუბილეს ფარგლებში უკვე შედგა „სტუდენტური დღეების“ პრეზენტაცია. პრეზენტაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მოაწყო, რომელსაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები, მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

როგორც მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა განაცხადა, დაგეგმილი ღონისძიება არც



ერთი წინა „სტუდენტური დღეების“ მსგავსი არ იქნება. სტუდენტური დღეები 18-22 მაისს გაიმართება. პრეზენტაციაზე თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტური ცხოვრება არა მხოლოდ სწავლა-განათლებას, არამედ შემოქმედებით საქმიანობას, სპორტსა და გართობას გულისხმობს. თსუ-ში შიდასაუნივერსიტეტო სტუდენტური დღეები შემოდგომაზე გაიმართა.

„სტუდენტური დღეები“ 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება. ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა სახის სპორტული, გასართობი და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიება გაიმართება. ღონისძიების მიზანია ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სტუდენტთა წახალისება. „სტუდენტურ დღეებში“ საქართველოს ყველა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) საქართველოს უძველესი და უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია. იგი 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, დაარსებიდან 93 წლის იუბილეს იზეიმებს. თსუ პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი იყო იმ დროს მთელს კავკასიაში. ამჟამად ყოველწლიურად სტუდენტთა რიცხვი 30.000-ს, ხოლო პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა 3.000-ს აღწევს. უნივერსიტეტს ხუთი ფილიალი აქვს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, 6 ფაკულტეტი, 60-მდე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და ცენტრი, უმდიდრესი სამეცნიერო ბიბლიოთეკა (4 მილიონამდე წიგნითა და პერიოდული გამოცემით), 7 მუზეუმი, საკუთარი გამომცემლობა და სტამბა. უნივერსიტეტი გამოსცემს საკუთარ გაზეთს „თბილისის უნივერსიტეტი“.

თბილისში შექმნილმა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელმა საზოგადოებამ უნივერსიტეტის დაფუძნებაზე ზრუნვა ითავა. უნივერსიტეტის მთავარი დამფუძნებელი იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. თანადამფუძნებლები იყვნენ კონსტანტინე აფხაზი, გრიგოლ გველესიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ წერეთელი, აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე, იოსებ ყიფშიძე, კორნელი კეკელიძე და პეტრე მელიქიშვილი. პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, მსოფლიო სახელის მქონე ქართველი ქიმიკოსი, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ჯავახიშვილის წარდგენით, არჩეულ იქნა უნივერსიტეტის პირველ რექტორად. უნივერსიტეტის გახსნის დღეს მის ეზოში საზეიმო წირვა აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა.

თსუ-ის რექტორი ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა რეჟიმის გადაწყვეტილებით გაათავისუფლეს რექტორის მოვალეობისგან. მას კარგა ხნით აეკრძალა მის მიერვე დაარსებულ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა. პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის შემდეგ როინ მეტრეველი იყო პირველი არჩეული რექტორი. როინ მეტრეველის შემდეგ რექტორის სავარძელი რუსუდან ლორთქიფანიძემ, ხოლო შემდეგ გიორგი ხუბუამ დაიკავა.

საქართველოს, რომლის საუკეთესო ტრადიციები განათლების სფეროში საყოველთაოდ იყო ცნობილი — ფაზისის ფილოსოფიისა და რიტორიკის სკოლა კოლხეთში, გელათისა და იყალთოს აკადემიები, სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრები პალესტინაში, სირიაში, საბერძნეთში, ბულგარეთში, პოლიტიკურ-ეკონომიკური დაუძლურებისა და ბოლოს რუსეთის კოლონიად გადაქცევის შედეგად რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აღარ გააჩნდა ეროვნული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც ქართველმა ხალხმა გადადგა XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცხადებისთანავე, სწორედ თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის შექმნა იყო. შემდგომ ბოლშევიკურ და კომუნისტურ პერიოდში, მიუხედავად თავსმოხვეული იდეოლოგიისა და მკაცრი ცენზურისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო ეროვ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# 2011 წელი მიხეილ თუმანიშვილის წელია

საყოფად არაერთი ღონისძიება გამართონ. მიხეილ თუმანიშვილის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყობა რეჟისორის შემოქმედებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული წიგნების გამოფენა-პრეზენტაცია, მისი ნახატების გამოფენა, იუბილარი რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლების მაკეტებისა და კოსტიუმების გამოფენა, მის შესახებ გადაღებული ფილმის „გამჭოლი მოქმედება“ (რეჟისორი გოგი ლევაშოვი) ჩვენება და მასტერ კლასის ჩატარება, ფოტო გამოფენის მოწყობა, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მიხეილ თუმანიშვილის სახელის მინიჭება და მისი უკვდავი სპექტაკლის „ჩვენი პატარა ქალაქი“ აღდგენა.

მიხეილ თუმანიშვილი 90 წლის წინ თბილისში დაიბადა. 42-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჯარში გაიწვიეს. მონაწილეობდა მეორე სამამულო ომში, სადაც მძიმედ დაიჭრა. ამის გამო, მომავალი რეჟისორი ფრონტიდან დემობილიზებული იქნა. საქართველოს სახალხო არტისტმა ჩააბარა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე (გ. ტოვსტონოგოვის კლასი). მიხეილ თუმანიშვილი მუშაობდა რუსთაველის თეატრში რეჟისორად. იყო საქართველოს ტელევიზიის სადადგმო რედაქციის მთავარი რეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს მთავარი რეჟისორი, თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი და პროფესორი.

საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში მიხეილ თუმანიშვილმა სტუდენტებთან ერთად ჩამოაყალიბა თეატრალური დასი, რომელიც პირველივე დღეებიდან მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მოგვიანებით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობის ინიციატივით დასს გამოუყვეს სცენა ძველი კინოსტუდიის ბაზაზე. 1978 წლის 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, დაიბადა კიდევ ერთი ქართული თეატრი — ექსპერიმენტული თეატრ-სტუდია — თეატრალური სახელოსნო. მოგვიანებით მას კინომსახიობთა თეატრი ეწოდა. სხვადასხვა ჯილდოებისა და პრემიების მფლობელი რეჟისორი 1997 წლის მაისში გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მიხეილ თუმანიშვილის დადგმები გამოირჩევა მკაფიო თეატრალური ფორმით, ემოციურობით, ლაკონიზმით, დახვეწილი გემოვნებით, მაღალი პროფესიული კულტურით. რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“, „ესპანელი მღვდელი“, „ამბავი სიყვარულისა“, „ჭინჭრაქა“, „ანტიგონე“, „სანამ ურემი გადაბრუნდება“.

დღეს მიხეილ თუმანიშვილის მიერ დაარსებული თეატრი მის სახელს ატარებს და მსოფლიო თეატრალურ სამყაროში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. 30 წლიანი არსებობის მანძილზე რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა და მისმა სტუდენტებმა 70-ზე მეტი სპექტაკლი განახორციელეს. რეჟისორის მოწაფემ ქეთი დოლიძემ დააარსა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი“, რომელმაც წლების განმავლობაში იარსება და არაერთ საინტერესო ხელოვანს უმასპინძლა.

6 თებერვალს ცნობილი ქართველი რეჟისორის მიხეილ ჭიაურელის დაბადებიდან 117 წელი სრულდება. ქართველი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი საბჭოთა დიქტატორის, იოსებ სტალინის ცხოვრების ამსახველი პომპეზურ-მონუმენტალური ფილმების ავტორად არის მიჩნეული. თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის თეატრებში როგორც მსახიობი, რეჟისორი და მხატვარი. მან თბილისში დაარსა სატირის თეატრი. იყო მუშათა თეატრისა და „წითელი თეატრის“ რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. კინემატოგრაფიაში მოსვლამდე ქართულ სცენაზე შეასრულა 60-ზე მეტი როლი და დადგა 30-მდე სპექტაკლი. როგორც მსახიობმა, მონაწილეობა მიიღო ფილმებში „არსენა ჯორჯიაშვილი“, „სურამის ციხე“, „ნათელა“, „ხანუმა“. მხატვრულად გააფორმა ფილმები „სურამის ციხე“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“. მიხეილ ჭიაურელის რეჟისორობით გადაღებულია მხატვრული ფილმები „პირველი კორნეტი სტრეშნევი“, „საბა“, „უკანასკნელი საათი“, „უკანასკნელი მასკარადი“, პირველი ქართული ხმოვანი ფილმი „არსენა“, „გიორგი სააკაძე“, „ფიცი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. მან გადაიღო აგრეთვე მულტიპლიკაციური ფილმები „განთიადის მომღერალი“, „როგორ მარხავდნენ თაგვები კატას“, „ქირურგი მამალი“, „რწყილი და ჭიანჭველა“. მისი ფილმები გამოირჩევა მაღალი გამომსახველობითი კულტურით, ეროვნული ლიტერატურისა და მხატვრობის რეალისტური ტრადიციებით. მიხეილ ჭიაურელმა დიდი კვალი დატოვა კინემატოგრაფიაში. დაჯილდოვებულია სახელმწიფო ჯილდოებით, ჩეხოსლოვაკიის „თეთრი ლომის“ II ხარისხის ორდენითა და მედლებით.მიხეილ ჭიაურელი გარდაიცვალა 1974 წლის 31 ოქტომბერს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

6 თებერვლის მესამე იუბილარი ქართველი კინორეჟისორი და სცენარისტი სიმონ (სიკო) დოლიძეა. მას დაბადებიდან 108 წელი უსრულდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სიკო დოლიძე იყო თბილისის კინოსტუდიის (ახლანდელი „ქართული ფილმი“) კინოქრონიკის განყოფილების ორგანიზატორი. მოძრავი, დოკუმენტური და ანიმაციური კინოს რეჟისორი. იგი ოზურგეთში დაიბადა. ოზურგეთში დგას სიკო დოლიძის ძეგლი და არის მისი სახელობის ქუჩა. მას გადაღებული აქვს ფილმები „კუკარაჩა“, „კაცია ადამიანი?!“, „სემირამიდას ბაღები“, „შეხვედრა წარსულთან“, „პალიასტომი“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „ფატიმა“, „ჭრიჭინა“, „დარიკო“, „უკანასკნელი ჯვაროსნები“.

სიკო დოლიძე თითქმის ყველა მის მიერ გადაღებული ფილმის სცენარისტია. მისი სცენარის მიხედვით გადაღებულია ლეგენდარული ანიმაციური ფილმები „ჩხიკვთა ქორწილი“, „ბულბულის იუბილე“. სიკო დოლიძე იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე. დაჯილდოებულია მრავალი მედლითა და ორდენით. ქართულ კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისათვის იგი სტალინის პრემიით დაჯილდოვდა, მოგვიანებით კი სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

ეკა ირემაშვილი





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
**სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**



## განცხადებები

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● განგრენის მკურნალობა უნიკალური მცენარეული მალამოთი, თუნდაც იყოს განვითარებული შაქრიანი დიაბეტის ფონზე. შედეგი გასაოცარია. ტელ: 893-63-92-99.

● იმპოტენციის, სქესობრივი ლტოლვის მომატების, პროსტატიტის მკურნალობა კონფიდენციალურია, მცენარეული პრეპარატებით, უსაფრთხოებისა და ხარისხის გარანტიით. ტელ: 893-63-92-99; 899-65-43-66.

# ვასილ გიგიაძე მწვრთნელობას ჯერ არ აპირებს

სიმფეროპოლის „ტავრიას“ ვეტერანი ფეხბურთელი ვასილ გიგიაძე, რომელმაც კლუბში ჩატარებულ 158 შეხვედრაში, 37 გოლი გაიტანა, უკრაინულ ვებგვერდთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ჯერ კიდევ შესწევს გუნდის დახმარების უნარი.

— ***გუნდთან კონტრაქტი გიმთავრდებათ, რას აპირებთ?***

— „ტავრიასთან“ თანამშრომლობას კიდევ ერთი წელი გავაგრძელებ. ვთვლი, რომ შემიძლია, გუნდს მოწინავე პოზიციებზე დაბრუნებაში დავეხმარო.

— ***უკრაინული კარიერის უმეტესი ნაწილი „ტავრიაში“ გაატარე, სადაც საკმაო ავტორიტეტი მოიპოვეთ და ბომბარდირული თვისებები გამოავლინეთ. პარტნიორებიდან ყველაზე კომფორტულად თავს ვისთან გრძნობდით?***

— ალბათ, ალექსანდრ გაიდაშთან, რომელიც ტარანის ტიპის თავდამსხმელია. მას ნებისმიერი ეპიზოდიდან მაქსიმუმის „გამოწურვა“ შეეძლო. ამასთან, საუცხოოდ თამაშობდა თავით და პარტნიორისთვის პასის მიცემა არასოდეს ენანებოდა. საერთოდ, პარტნიორებში ყოველთვის მიმართლებდა.

— ***სიმფეროპოლი რამდენჯერმე დატოვეთ. კარიერის ამ პერიოდებზე რას იტყვით?***

— თავი რუსეთის ჩემპიონატშიც მოვსინჯე, სადაც ელისტის „ურალანსა“ და ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“ გამოვდიოდი. ასევე, უკრაინულ „კრივბასში“ და ახტირკის „ნეფტიანიკში“ ვთამაშობდი. კრივოი როგში წარმატებული პერიოდი მქონდა და გოლების გატანა გავაგრძელე. ახტირკაში არცთუ იღბლიანი წელიწადი გავატარე. როდესაც „ტავრიაში“ დაბრუნების ვარიანტი გამოჩნდა, არც დავფიქრებულვარ. მით უმეტეს, გუნდში დაბრუნება თავად სერგეი კუნიცინმა (ტავრიას პრეზიდენტი) შემომთავაზა. განვლილ პერიოდში ევროპის საკლუბო ტურნირებზე ორჯერ ვითამაშე და უკრაინის თასი მოვიგე.

— ***გუნდის მაშინდელი მთავარი მწვრთნელი, სერგეი პუჩკოვი თავიდან ძირითად შემადგენლობაში არ გაყენებდა. კონკურენცია დიდი იყო?***

— მაშინ გუნდში რამდენიმე ძლიერი თავდამსხმელი თამაშობდა — კოვპაკი, იდახორი, პლატონი და ფეშჩუკი. სერიოზული კონკურენცია იყო. აღსანიშნავია, რომ „ტავრიას“ ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმის ხაზი ჰყავს. მწვრთნელისთვის არჩევანის გაკეთება ადვილი არ გახლდათ.

— ***სხვათა შორის, ყოველთვის გამოირჩეოდით პენალტების ზუსტი შესრულებით. კოვპაკის „არსენალში“ გადასვლის შემდეგ, „შტატიანი“ პენალტისტი ვინ იქნება?***

— მართლაც, „ტავრიაში“ მიმართლებდა — ყველა დარტყმა შედეგიანი იყო. იმედი მაქვს, რომ ახლაც მწვრთნელები და პარტნიორები მსაჯების მიერ გამოტანილი „განაჩენის“ აღსრულებაში მოყვანას მე მომანდობენ.

— ***თქვენი ზუსტი დარტყმებისგან უკრაინის ჩემპიონატში ყველაზე მეტად ვინ დაზარალდა?***

— ალბათ, „კრივბასი“. თუ არ ვცდები, ამ გუნდის მეკარეებს ყველაზე ხშირად ვამწუხრებდი. გოლები უკრაინის ჩემპიონატის გრანდებისთვის, „დინამოსთვის“ და „შახტარისთვისაც“ გამიტანია. საერთოდ, ჩემთვის მთავარია, რომ მშობლიურმა გუნდმა გაიმარჯვოს.

— ***გამოდის „ტავრიას“ მშობლიურად თვლით?***

— რა თქმა უნდა. სიმფეროპოლში ჩემთვის ყველაფერი მისაღებია. ძალიან მეგობრული გუნდი გვყავს. უკვე რაღაც-რაღაცეების მოგებასაც მივეჩვიეთ. შევეცდებით, ასე გავაგრძელოთ. სიმფეროპოლში საუცხოო გულშემატკივრები არიან, რომელთაც შეუძლიათ გაგიგონ და გაპატიონ. ყირიმში თავს ჩემი ოჯახიც კარგად გრძნობს.

— ***მთავარი მწვრთნელი, ვალერი პეტროვი კვლავ გენდობათ. გაიჟღერა ვერსიამ, რომ თუ კარიერის დასრულებას გადაწყვეტთ, „ტავრია“ სამწვრთნელო შტაბში თანამდებობას შემოგთავაზებთ.***

— ძალიან სასიამოვნოა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა მენდობა. შევეცდები, მათი ნდობა გავამართლო, ოღონდ, კარიერის დასრულების შემდეგ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბირმინგემი-სიტი ........ 2:2
ბლექბერნი-ტოტენჰემი ........ 0:1
ბლექპული-ვესტ ჰემი ........ 1:3
ბოლტონი-ვულვზი ........ 1:0
ლივერპული-სტოკი ........ 2:0
ფულემი-ნიუკასლი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 24 | 15 | 9 | 0 | 54:22 | 54 |
| 2.არსენალი | 24 | 15 | 4 | 5 | 50:23 | 49 |
| 3.სიტი | 25 | 13 | 7 | 5 | 39:22 | 46 |
| 4.ჩელსი | 24 | 13 | 5 | 6 | 46:21 | 44 |
| 5.ტოტენჰემი | 24 | 11 | 8 | 5 | 33:26 | 41 |
| 6.სანდერლენდი | 25 | 9 | 10 | 6 | 30:28 | 37 |
| 7.ლივერპული | 25 | 10 | 5 | 10 | 33:31 | 35 |
| 8.ბოლტონი | 25 | 8 | 9 | 8 | 35:35 | 33 |
| 9.ბლექბერნი | 25 | 9 | 4 | 12 | 31:38 | 31 |
| 10.ნიუკასლი | 24 | 8 | 6 | 10 | 36:34 | 30 |
| 11.სტოკი | 24 | 9 | 3 | 12 | 28:30 | 30 |
| 12.ფულემი | 25 | 6 | 11 | 8 | 26:26 | 29 |
| 13.ბლექპული | 24 | 8 | 4 | 12 | 35:44 | 28 |
| 14.ას. ვილა | 25 | 7 | 7 | 11 | 28:43 | 28 |
| 15.ევერტონი | 24 | 5 | 12 | 7 | 28:31 | 27 |
| 16.ვესტ ბრომ. | 24 | 7 | 5 | 12 | 31:45 | 26 |
| 17.ბირმინგემი | 23 | 4 | 12 | 7 | 23:33 | 24 |
| 18.ვესტ ჰემი | 25 | 5 | 9 | 11 | 27:44 | 24 |
| 19.უიგანი | 24 | 4 | 11 | 9 | 22:38 | 23 |
| 20.ვულვზი | 24 | 6 | 3 | 15 | 24:42 | 21 |

**იტალია. სერია ა**

კიევო-ნაპოლი ........ 2:0
პალერმო-იუვენტუსი ........ 2:1
პარმა-ლეჩე ........ 0:1
რომა-ბრეშა ........ 1:1
სამპდორია-კალიარი ........ 0:1
უდინეზე-ბოლონია ........ 1:1
ფიორენტინა-ჯენოა ........ 1:0
ჩეზენა-კატანია ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 23 | 14 | 6 | 3 | 39:18 | 48 |
| 2.ნაპოლი | 23 | 13 | 4 | 6 | 36:22 | 43 |
| 3.ლაციო | 23 | 12 | 5 | 6 | 29:21 | 41 |
| 4.რომა | 22 | 11 | 6 | 5 | 32:25 | 39 |
| 5.ინტერი | 21 | 11 | 5 | 5 | 36:24 | 38 |
| 6.პალერმო | 23 | 12 | 4 | 7 | 38:29 | 37 |
| 7.უდინეზე | 23 | 11 | 4 | 8 | 37:30 | 37 |
| 8.იუვენტუსი | 23 | 9 | 8 | 6 | 37:29 | 35 |
| 9.კალიარი | 23 | 9 | 5 | 9 | 27:23 | 32 |
| 10.კიევო | 23 | 7 | 9 | 7 | 25:22 | 30 |
| 11.ფიორენტინა | 22 | 7 | 7 | 8 | 22:23 | 28 |
| 12.სამპდორია | 23 | 6 | 9 | 7 | 20:23 | 27 |
| 13.ჯენოა | 22 | 7 | 6 | 9 | 18:21 | 27 |
| 14.ბოლონია | 22 | 7 | 8 | 7 | 24:30 | 26 |
| 15.პარმა | 23 | 6 | 7 | 10 | 22:29 | 25 |
| 16.ლეჩე | 23 | 6 | 6 | 11 | 22:39 | 24 |
| 17.კატანია | 23 | 5 | 8 | 10 | 19:30 | 23 |
| 18.ჩეზენა | 23 | 5 | 6 | 12 | 17:29 | 21 |
| 19.ბრეშა | 23 | 5 | 4 | 14 | 18:31 | 19 |
| 20.ბარი | 22 | 3 | 5 | 14 | 14:34 | 14 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ესპანეთი. თასი**

ალმერია-ბარსელონა ........ 0:3
რეალი-სევილია ........ 2:0

**საფრანგეთი. თასი**

შამბერი-სოშო ........ 2:1
მარტიგი-პსჟ ........ 1:4
ნანსი-ლემანი ........ 1:2
დრანსი-ნიცა ........ 0:1
ლილი-ნანტი ........ 1:1(3:2პ)

**პორტუგალია. თასი**

პორტუ-ბენფიკა ........ 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-ჰართსი ........ 1:0
ინვერნესი-დანდი ........ გადაიდო
მოზერველი-კილმანროკი ........ 0:1
ჰიბერნიანი-სტ.მირენი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 24 | 18 | 4 | 2 | 53:14 | 58 |
| 2.რეინჯერსი | 22 | 17 | 2 | 3 | 47:20 | 53 |
| 3.ჰართსი | 24 | 15 | 3 | 6 | 37:21 | 48 |
| 4.კილმანროკი | 24 | 10 | 6 | 8 | 37:26 | 36 |
| 5.ინვერნესი | 24 | 7 | 8 | 9 | 31:30 | 29 |
| 6.დანდი | 20 | 7 | 8 | 5 | 25:25 | 29 |
| 7.სტ.ჯონსონი | 24 | 8 | 5 | 11 | 17:28 | 29 |
| 8.მოზერველი | 23 | 8 | 4 | 11 | 26:27 | 28 |
| 9.აბერდინი | 23 | 7 | 2 | 14 | 23:42 | 23 |
| 10.ჰიბერნიანი | 24 | 5 | 4 | 15 | 23:42 | 19 |
| 11.სტ.მირენი | 23 | 4 | 6 | 13 | 18:38 | 18 |
| 12.ჰამილტონი | 22 | 2 | 8 | 12 | 14:39 | 14 |

**ბელგია. პროლიგა**

გენკი-სტ.ტრუიდენი ........ 1:1
ეუპენი-ვარეგემი ........ 0:2
ლოკერენი-სერკლი ........ 2:1
მეხელენი-კორტრაიკი ........ 1:0
შარლერუა-ბეერსხოტი ........ 2:0

**საბერძნეთი. თასი**

პაოკი-ოლიმპიაკოსი ........ 1:0
აეკი-პანათინაიკოსი ........ 2:3

### კალათბურთი

ატლანტა-ტორონტო ........ 100:87
ზაზა ფაჩულია: 6 ქულა, 6 მოხსნა
კლივლენდი-ინდიანა ........ 112:117
ნიუ ჯერსი-ფილადელფია ........ 92:106
დეტროიტი-შარლოტი ........ 87:97
ნიუ იორკი-დალასი ........ 97:113
მინესოტა-მემფისი ........ 84:102
ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი ........ 104:93
დენვერი-პორტლენდი ........ 109:90
ფინიქსი-მილუოკი ........ 92:77
იუტა-ჰიუსტონი ........ 96:97
კლიპერსი-ჩიკაგო ........ 88:106
ევროლიგა. ულების ........ თასი
ფენერბახჩე-ჟალგირისი ........ 80:72
ოლიმპიაკოსი-ვალენსია ........ 77:62

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ოტავა-დეტროიტი ........ 5:7
პიტსბურგი-აილენდერსი ........ 3:0
მონრეალი-ფლორიდა ........ 3:2
ფინიქსი-ვანკუვერი ........ 0:6
ედმონტონი-ლოს ანჯელესი ........ 1:3
ანაჰაიმი-სან ხოსე ........ 3:4

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# რუსებმა გაგვშიფრეს და არ გვეხუმრებიან




ვილნიუსში გამართულ ევროპის 2011 წლის საკალათბურთო ჩემპიონატის კენჭისყრის შემდეგ, ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრები მოხვდა, არ არსებობს ქვეყანა, რომელიც კმაყოფილი არ იყოს. ცხადია, ეს ჯგუფი ყველაზე სუსტად მოჩანს ამ ტურნირზე და ჩვენც ამიტომ ვერ ვმალავდით კმაყოფილებას.

უზომოდ გახარებულები არიან რუსები, რომლებიც თვლიან, რომ ამ ჯგუფიდან პირველი ადგილით გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ, რაც შემდეგ მეორე ეტაპის გადალახვის კარგ შანსს მისცემთ.

იქაური მედიის აზრით, ყველა გუნდი, რომელიც მათთან ჯგუფში მოხვდა, კარგად არის ნაცნობი. ერთადერთი უცნობი და იდუმალი საქართველოს ნაკრებია, რომელთაც არ შეხვედრიან (ეტყობა ბოლო 5 წელი იგულისხმეს, თორემ 2004 წელს ჩვენებმა საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირზე 88:71 დაამარცხეს რუსები) და იქაური მედია საფუძვლიანად შეუდგა საქართველოს ნაკრების შესწავლას.

უნდა ითქვას, რომ ვებგვერდ სპორტს.რუ-ს ჟურნალისტს მართლაც კვალიფიციურად უმუშავია და საქართველოს ნაკრები ხარვეზებით, მაგრამ დეტალურად შეუსწავლია. აქვე სტატიის სრული ვერსია.

ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრამ კალათბურთის რუს ქომაგებს დადებითი ემოციები მოუტანა. ჩვენს გუნდს მეტოქეებად სლოვენიის კერკეტი ნაკრები და კიდევ ოთხი კოლექტივი ერგო, რომლებიც ბოლო წლებია სხვადასხვა საკვალიფიკაციო თუ შესარჩევ ტურნირებში ირჯებიან, თუმცა, როგორც წესი, ფინალურ ეტაპზე გასვლას ვერ ახერხებენ.

ამ ოთხეულიდან სამთან რუსეთს, ასე თუ ისე, შეხება ჰქონია. უკრაინელებთან, ბულგარელებთან და ბელგიელებთან ჩვენს ნაკრებს ამხანაგურ თუ შესარჩევ მატჩებში უთამაშია და ამ ქვეყნების წარმომადგენლებთან საკლუბო დონეზეც არაერთი დაპირისპირება ყოფილა.

ამ ფონზე, ერთადერთ ამოუცნობ გუნდად საქართველოს ნაკრები რჩება, ამდენად, ჩვენი ჯგუფის „საიდუმლოებით მოცულ“ კოლექტივზე ყველაზე დაწვრილებით მოგახსენებთ.

საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებთ და ევროპული სანაკრებო კალათბურთის სტრუქტურას შევეხებით. როგორც ცნობილია, ფიბა-ევროპას გუნდები სიძლიერის მიხედვით, ორ — „ა“ და „ბ“ დივიზიონებად ჰყავს დაყოფილი, თუმცა, თუ ამ ფორმალურ განაწილებას გვერდზე გადავდებთ, რეალურად ნაკრებებში სამი დონე არსებობს:

— გუნდები, რომლებიც უმთავრეს საერთაშორისო ტურნირებში სისტემატიურად თამაშობენ.

— ა დივიზიონის გუნდები, რომლებიც საკვალიფიკაციო მატჩებში მონაწილეობენ და იშვიათ შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ხვდებიან.

— ბ დივიზიონის გუნდები.

სულ ცოტა ხნის წინ, საქართველოს ნაკრები სწორედ ბოლო კატეგორიის გუნდთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, თუმცა, ბოლო წლინახევრის განმავლობაში, მათ სერიოზული წინსვლა განიცადეს. 2009 წლის ზაფხულში, კავკასიელებმა ბელორუსთა ძლევის ხარჯზე, ა დივიზიონის საგზური მოიპოვეს და შარშან, 2011 წლის ევრობასკეტის საკვალიფიკაციო ტურნირში დიდი ამბები „დაატრიალეს“. საქართველოს ნაკრები ძალიან ახლოს გახლდათ ფინალურ ეტაპზე პირდაპირი წესით გასვლასთან (მაშინ ცნობილი არ იყო, რომ ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვის გაზრდა იგეგმებოდა) და ბელგიელებს სულ მცირედით ჩამორჩა, უკან კი გამოცდილი პოლონეთისა და ბულგარეთის გუნდები მოიტოვა.

ასეთი წინსვლის საფუძველი მოთამაშეთა ახალი თაობის „დაღვინება“ გახდა. ახლა, საქართველოს ნაკრების ლიდერთა საშუალო ასაკი 24-27 წლების ფარგლებში მერყეობს. შიდა ჩემპიონატის დაბალი დონიდან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ წამყვანი ქართველი კალათბურთელები უცხოურ კლუბებში ირჯებიან. მათი უმეტესობა წამყვანი ევროპული ჩემპიონატების საშუალო სიძლიერის გუნდებში ირიცხება, თუმცა ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტენ.

ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი „ატლანტა ჰოუქსის“ წევრი, ზაზა ფაჩულიაა (26 წლის, სიმაღლე 210 სმ.). ქართველი ცენტრი, საკუთარი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ნამდვილი ლიდერი და მამოძრავებელი ძალაა. იგი ბევრს აგდებს, ბევრს ხსნის და გუნდის საფუძველია. მასთან და მის გარეშე, საქართველოს ნაკრები სულ სხვადასხვა გუნდია და სათამაშო სტილსაც შესაბამისად ცვლის.

საერთოდაც, ქართველთა წინა ხაზი ერთობ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. ფაჩულიას გარდა, გუნდში არიან სლოვენიური „ოლიმპიას“ ცენტრი, გიორგი შერმადინი (21, 216) და ფორვარდები — ნიკოლოზ ცქიტიშვილი (27, 212) და ვიქტორ სანიკიძე (24, 203). თუკი შერმადინი სხვებზე ახალგაზრდაა და უფრო სათადარიგოს როლით უწევს დაკმაყოფილება, დანარჩენი ორი ნაკრების თამაშზე დიდ გავლენას ახდენს. მაგალითად, ცქიტიშვილს შუძლია შორიდანაც ჩააგდოს და ფარქვეშაც იყოჩაღოს. ფაჩულიასთან ერთად, ის სოლიდურ დუეტს ქმნის.

ცქიტიშვილთან შედარებით, სანიკიძე დაბალია, თუმცა, უფრო სწრაფია, გრძელი ხელები აქვს და ნახტომიც გაცილებით უკეთესი გააჩნია. საქართველოს ნაკრებში ნორმალური 3 ნომრის არყოფნის ფონზე, ვიქტორს მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე უწევს თამაში, თუმცა ფიზიკური მონაცემებითა და შესაძლებლობების არსენალით იგი ტიპიური 4 ნომერია. სწორედ სანიკიძის მოედანზე ყოფნაა იმის წინაპირობა, რომ საქართველოს ნაკრები მეტოქეებს მოხსნებში რეგულარულად ჯაბნის. ვიქტორს ტექნიკასთან და სროლის მანერასთან აშკარა პრობლემები გააჩნია, მაგრამ ჩინებული ნახტომი ფარქვეშ ბრძოლისას, მას შეუცვლელს ხდის. სანიკიძე ყოველი ბურთისკენ „მიფრინავს“ და ხშირ შემთხვევაში ბრძოლაში გამარჯვებულიც გამოდის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველებს სუფთა 3 ნომერი არ ჰყავთ. არიან „მაღლები“ და „დაბლები“, მათ შორის გარდამავალი რგოლი კი არ არსებობს. თანაც, ეს „სიცარიელე“ გუნდის თამაშზე შესამჩნევად აისახება. სანიკიძის გარდა, მსუბუქი ფორვარდის ფუნქციების შესრულება უწევს მანუჩარ მარკოიშვილს (24, 196), რომელსაც მთელს ნაკრებში, ალბათ, ყველაზე „კარგი ხელი“ გააჩნია. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებს შორეული ტყორცნები არცთუ კარგად გამოსდის, მარკოიშვილი კი, ფაქტობრივად, ერთადერთი სტაბილური სნაიპერია.

თუკი ძალიან მოვინდომებთ, შესაძლოა, მსროლელთა რიგს გუნდის ძირითადი შემტევი მცველი, ნატურალიზებული ამერიკელი ტორინ გრინიც (25, 183) მივაკუთვნოთ, რომელსაც ესპანური „გრან კანარიას“ მაისურით ყაზანის „უნიქსის“ წინააღმდეგაც უთამაშია. გრინი კლუბშიც კი, სადაც ბევრი სახელოვანი პარტნიორი ჰყავს, თამაშს საკუთარ თავზე ხშირად იღებს, ხოლო საქართველოს ნაკრებში, ფაჩულიას შემდეგ, ალბათ ყველაზე მეტ შეტევას ახორციელებს და თანაგუნდელებს ნაკლებად ამჩნევს. შესაძლოა იგი მარკოიშვილზე ცუდად არ ისვრის, მაგრამ გადამეტებული სიხშირითა და ნებისმიერი პოზიციიდან ნატყორცნი სამქულიანების გამო, არცთუ კარგი მაჩვენებელი აქვს.

საერთოდაც, საქართველოს ნაკრების მოთამაშეებს ინდივიდუალური ქმედებებისკენ მიდრეკილება არ აკლიათ. მეტწილად ეს იმითაა გამოწვეული, რომ გუნდის ძირითადი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძეა (24, 192). რამდენიმე წლის წინ, როდესაც იგი კონტრაქტის გაფორმებას კრასნოიარსკის „ენისეისთან“ აპირებდა, ყურადღებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ამ კალათბურთელს თამაშის განმავლობაში, შედეგიანი გადაცემებისა და შეცდომების თითქმის თანაბარი რაოდენობა ჰქონდა...

ახლა, როდესაც ქართველთა მატჩები ვნახე, აღნიშნულის მიზეზიც დავადგინეთ. ცინცაძის ქმედებებში ენერგია და სურვილი გაცილებით მეტია, ვიდრე — მოედნის ხედვა. შედეგიანი პასების უმეტესობას იგი ბურთის ცენტრისთვის „ჩაგდების“ ხარჯზე აგროვებს. თანაც, ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გიორგი მოძრაობას ერთი პრინციპით იწყებს: „გავიქცევი და შემდეგ რამე გამოჩნდება“. საბოლოოდ კი, „რამე“ ხან გამოდის ხან — არა და თანაბარი პროცენტული მაჩვენებელიც აქედან გამომდინარეობს.

თუკი მთლიანობაში საქართველოს ნაკრების თამაშზე ვისაუბრებთ, წინა და უკანა ხაზს შორის დიფერენციაცია კიდევ ერთხელ უნდა გამოვარჩიოთ. იქიდან გამომდინარე, თამაშის კონკრეტულ მონაკვეთში, თამაში „მაღლებს“ მისდით თუ „დაბლებს“, გუნდიც მთლიანად მათზე „ეწყობა“. თანაც, განსხვავება კარდინალურია. ერთი მხრივ, არსებობს ნელი, „მძიმე“ მოდელი. ნაკრები მშვიდად გადადის შეტევაში, კალათბურთელები სწრაფი მოძრაობებით თავს არ იტვირთავენ, ბურთი კი, სამწამიან ზონასთან, ერთ-ერთ მაღალ მოთამაშემდე (როგორც წესი, ფაჩულიასთან) მიდის. იგი წყნარად იწყებს მეტოქის მოტყუებას, რის შემდეგაც ფარს თავად უტევს ან თუკი დაზღვევაზე ვინმე გადმოვიდა, პასს თავისუფალ პარტნიორს აწვდის. ასე გრძელდება შეტევიდან შეტევამდე მცირედი პაუზებით.

თუმცა, საკმარისია რამდენიმე ცვლილება მოხდეს, რომ მყის ყველაფერი იცვლება. ბურთი მიდის მარკოიშვილთან, ცინცაძესთან ან გრინთან, რომლებიც ნამდვილ კარუსელს ატრიალებენ. ეს კალათბურთელები მოედანზე საოცარ წრეებს ხაზავენ და ამ პროცესში ერთი შეხედვით მძიმე ცენტრებსაც კი ითრევენ. ამ დროს გუნდი ნამდვილად შესაშურ ტემპში მოძრაობს, მაგრამ ხშირად, ამ გადარბენებში ურთიერთგაგების პრინციპი მინიმუმამდეა დაყვანილი.

რეალურად, ქართველებს სირბილი უფრო უყვართ, ვიდრე პასის გადაწოდება. რადგანაც გუნდს სროლებში არცთუ კარგი პროცენტული მაჩვენებელი აქვს, მოთამაშეები ფარქვეშ შესვლას ცდილობენ და ეს, ზედმეტ ინდივიდუალიზმში გადადის. თანაც, ამის გაკეთებას ლამის ყველა ცდილობს, დაწყებული „პატარა“ გრინიდან, დამთავრებული „გოლიათი“ ცქიტიშვილით, რომლის ფარქვეშ დრიბლინგით შესვლა, მომდევნო შეტევაში კი ზუსტი სამქულიანი, მეტოქეს აუცილებლად დააბნევს.

სროლებს კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ნაკრებში სნაიპერების ნაკლებობა იგრძნობა, თანაც მათ სასროლი პოზიციის შექმნა თავად უხდებათ. რამდენიმე მატჩის განმავლობაში ვერ ვნახეთ კომბინაცია, როდესაც კალათბურთელი სასურველ მდგომარეობაში დამუშავებული კომბინაციის შემდეგ ხვდებოდა. შედეგად, სამქულიანისთვის სასურველი პოზიცია, როგორც წესი, სტიქიურად, შემთხვევით მომენტებში იქმნება. მართალია მარკოიშვილსა და გრინს შეუძლიათ „ბლოკის“ შემდეგ ესროლონ, ცინცაძეს შეუძლია ცენტრის მიერ მიწოდებულ პასს დაელოდოს, ხოლო ცქიტიშვილს თავისი სიმაღლის ხარჯზე მეტოქის ხელებს ზემოდან დაუბრკოლებლად ისროლოს, მაგრამ ეს უფრო გამონაკლისია და ყოველთვის ვერ გაამართლებს.

საქართველოს ეროვნულ გუნდზე საუბრისას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც არ უნდა დაგვავიწყდეს. მოგეხსენებათ, რუსეთის ნაკრების მომავალი მეტოქე სამხრეთული კოლექტივია, შესაბამისად, შინ ქართველები გაცილებით ძლიერად გამოიყურებიან, ვიდრე სტუმრად. წარმოიდგინეთ, გადავსებული თბილისის 9-ათასიანი სპორტის სასახლე, რომელიც კალათბურთით ცხოვრობს. რთული მატჩი მიდის, მაგრამ ბიჭები რამდენიმე მნიშვნელოვან ბურთს აგდებენ, თვითონაც ხასიათზე მოდიან, დარბაზი კი „იქოქება“ და მსაჯებსა და მეტოქეებზე წარმოუდგენელი ზეწოლა მიდის. დაგვერწმუნეთ, იქ მხურვალე და ხმაურიანი ქომაგობა იციან. ცხადია, ასეთ სიტუაციაში მსაჯები სადღაც დაუსტვენენ, სადღაც კი პირიქით — არა. მოწინააღმდეგესაც ხელი აუკანკალდება — ან ჯარიმას გააცუდებს, ანაც უზუსტო პასი გამოუვა.

გასვლით მატჩებში კი სულ სხვა მდგომარეობაა. თითქოს, ქართველებს იგივე მოთამაშეები ჰყავთ, მოედანზეც იგივეს აკეთებენ, მაგრამ ეიფორია კი ნამდვილად აკლიათ. კალათბურთელები უფრო შებოჭილები არიან, თითქოს ხასიათიც გაფუჭებული აქვთ და მოქმედება უჭირთ. შედეგიც შესაბამისია. სადღაც ააცილეს, სადღაც ვერ მოხსნეს, უზუსტო პასებიც მომრავლა და მეტოქე უკვე 10 ქულით დაწინაურდა, ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა კი ყოველთვის არ ხერხდება...

საერთო ჯამში, აქედანვე უნდა გავიაზროთ, რომ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ დაარხეინებული გასვლა კარგს არაფერს მოგვიტანს. დიახ, რუსეთის ნაკრებს უფრო ძლიერი და დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს და მეტოქისგან განსხვავებით, დიდ ტურნირებში ასპარეზობის კარგი გამოცდილებაც გააჩნია. ისიც ვიცით, ასეთი დიდი შეჯიბრისთვის როგორ უნდა მოვემზადოთ, ძალები როგორ უნდა გადავანაწილოთ და არცთუ კეთილისმსურველ გარემოში თავი როგორ უნდა „გადავირჩინოთ“...

თუმცა, ეს ყველაფერი ზოგადად, ერთ კონკრეტულ მატჩში კი, შესაძლოა, ყველაფერი მოხდეს. ცალი ხელით რომ ქართველებს ვერ მოვუგებთ, ცხადია. საკუთარი კოზირები მეტოქესაც გააჩნია, რომლითაც რუსეთის ნაკრებისთვის სერიოზული პრობლემის შექმნა შეუძლია. წინ კარგი ბრძოლა გველის, რომელშიც ჩვენს გუნდს უკეთესი შანსები გააჩნია.

# „ასსა“ 10 წლისაა



**ეკა ირემაშვილი**

5 თებერვალს თბილისის „ივენთ ჰოლში“ სუხიშვილების მიერ შექმნილი საკლუბო პროექტის „ასსას“ საიუბილეო კონცერტი გაიმართება, სადაც მოცეკვავეები მისულ მაყურებელს სრულიად ახალ პროგრამას შესთავაზებენ. „ასა ერთი დღით“ — ასეთია ღონისძიების სლოგანი, სადაც სუხიშვილები ყველას ელოდებიან.

როგორც ანსამბლ „სუხიშვილების“ ოფისში გამართულ საინფორმაციო ბრიფინგზე ანსამბლის ხელმძღვანელმა ნინო სუხიშვილმა განაცხადა, კონცერტზე პროექტის ფარგლებში წლების მანძილზე შექმნილი საუკეთესო საცეკვაო ნომრები შესრულდება. ეს იქნება ქართული ელემენტებით გაჯერებული მსოფლიო ჰიტები ახლებური მუსიკალური ინტერპრეტაციით.

„ასსას“ პროექტის პირველი პრეზენტაცია 2002 წელს კლუბ „ნოა-ნოაში“ გაიმართა. თავიდან მასში მხოლოდ 4 მოცეკვავე მონაწილეობდა. დროთა განმავლობაში პროექტის პოპულარობასთან ერთად მოცეკვავეთა რაოდენობაც გაიზარდა. პროგრამის ხანგრძლივობა 20 წუთიდან საათნახევრამდე გრძელდება. 5 თებერვლის კონცერტს „თბილისის ივენთ ჰოლში“ კი დიჯეი ნიკა წერეთელი დაასრულებს.

**ნინო სუხიშვილი:**

— ჩვენ თავიდან ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ეს პროექტი ასეთი პოპულარული გახდებოდა. ჩვენი სურვილი იყო, გვქონოდა ისეთი ქართული საცეკვაო მუსიკის ჟღერადობა, რომელსაც ჩართავდი და მოუსმენდი. საბედნიეროდ, „ასსამ“ თავიდანვე დაიმსახურა საზოგადოების მოწონება და ახლა 10 წლის ანგარიში უნდა ჩაგაბაროთ.

— *რა იქნება საიუბილეო ასაზე?*

— ნამდვილად ვერ დავკონკრეტდები და დეტალებს ვერ ვიტყვი, მაგრამ ამჯერად ქართული ელემენტებით გაჯერებული მსოფლიო ჰიტები იქნება წარმოდგენილი. „ასსა“ ძალიან წარმატებული პროექტია და ჩვენ მას სულ ვცვლით. ამ პროექტმა ახალგაზრდობა ფოლკლორისკენ მოაბრუნა. ვფიქრობ, ეს ფოლკლორის გადარჩენის ერთ-ერთი გზაა. ახალ თაობას რომ ინტერესი გაუჩინო, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდო ყველაფერი.

— *ანუ „ასსამ“ გაამართლა?*

— ნამდვილად. თავიდან, ჩვენ „ასსა“ მუსიკალური პროექტით დავიწყეთ და მერე შევამატეთ ცეკვები, რომლითაც სხვადასხვა კლუბში მაყურებლის წინაშე არაერთხელ წარვდექით. ამჯერად, კიდევ უფრო განახლებულ პროგრამას ვთავაზობთ. ძალიან ბევრი, საინტერესო და ახალი მუსიკალური თემაც იქნება, რაც ჩვენ მაყურებელს ჯერ არ მოუსმენია. ქართული ცეკვა ადვილი გახდა არა მარტო სცენაზე, არამედ კლუბებში, წვეულებებზე, ქორწილებში და მიხარია, ეს პროექტი ასე წარმატებული რომ აღმოჩნდა. ჩვენ გვინდოდა მომავალ თაობებს ქართული ფოლკლორისთვის ესმინათ და მგონია, რომ ეს გამოგვივიდა.

— *პრემიერები თუ გექნებათ?*

— რა თქმა უნდა. საიუბილეო კონცერტზე წარმოდგენილი თითქმის უმეტესი ნომრები პირველად შესრულდება. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო ახალი მუსიკალური თემა „ვარდისფერი მიმინო“, რომელსაც ცეკვა ექნება დართული.

— ***რას უნდა ველოდოთ 2011 წელს სუხიშვილებისგან?***

— წელს ძალიან საინტერესო და ლამაზ წელიწადს გპირდებით. მანამდე კი „თბილისი ივენთ ჰოლში“ უნდა მოხვიდეთ, სადაც დაუვიწყარი საღამო გელოდებათ. უკვე დაგეგმილია „სუხიშვილების“ კონცერტები როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებში. გასტროლები კი, როგორც წესი, წელსაც მრავლად გვაქვს.

ტატა გომელაური, „ასსას“ პირველი მონაწილე:

— „ასსა“ ჩემს თვალწინ დაიბადა და უკვე წლებია ჩვენ ერთად მოვდივართ. თავიდან მხოლოდ ოთხი მოცეკვავე ვიყავით, მაგრამ ახლა ჩვენი რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა. საიუბილეო „ასსა“ არის ერთი მთლიანი პროგრამა, სადაც მთლიანობაში 15-მდე კომპოზიცია იქნება წარმოდგენილი. ქართული ცეკვების გარდა, ჩვენ შევასრულებთ პიაცოლას მუსიკაზე დადგმულ ტანგოს, რომელიც სხვა ფორმატში იქნება მოწოდებული, „ასსას“ საიუბილეო პროგრამაში შევიდა წლევანდელი საახალწლო პროგრამაც, რომელიც კუბელებთან ერთად შევიმუშავეთ.

# საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დიდ ლილოში თანამედროვე არქივს აშენებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დოკუმენტაციის ქაღალდის ვერსიის უსაფრთხოდ შენახვისა და დაცვისთვის, დიდ ლილოში თანამედროვე არქივს აშენებს. როგორც პრაიმ-ნიუსს საჯარო რეესტრიდან აცნობეს, არქივის მშენებლობა, რომლის საერთო ფართი 3000 კვ.მეტრია, გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო.

შენობაში განთავსდება ქვეყნის მასშტაბით სარეგისტრაციო სამსახურებში უძრავ ქონებასა და ბიზნესის რეგისტრაციაზე არსებული ქაღალდის დოკუმენტაცია, ასევე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული არქივში დაცული დოკუმენტაციის ნაწილი.

დოკუმენტაციის ახალი, თანამედროვე საარქივო სისტემის შექმნის მიზანი არსებული ქაღალდის დოკუმენტაციის შენახვისათვის საუკეთესო, უსაფრთხო პირობების შექმნა და სარეგისტრაციო სამსახურებში საარქივო ფართის მნიშვნელოვნად შემცირებაა.საარქივო მასალა, რომელიც საჯარო რეესტრშია დაცული, ხშირ შემთხვევაში უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის ერთადერთი და ძირითადი საფუძველია. საჯარო რეესტრის თანამშრომლებს თითქმის ყოველდღიურად უხდებათ საარქივო მასალებთან შეხება. მათი უმრავლესობა საკმაოდ ძველია. იქმნებოდა საფრთხე, რომ დროთა განმავლობაში, ხშირი გამოყენების გამო, შესაძლებელი იყო დოკუმენტები დაზიანებულიყო ან განადგურებულიყო.

სწორედ ამიტომ, საჯარო რეესტრმა არსებული საარქივო სისტემის წინასწარი შესწავლისა და ანალიზის შემდეგ შეიმუშავა დოკუმენტაციის საარქივო სტრატეგია, რომელიც ეფუძნება მცირე დანახარჯებს, ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობას და ქაღალდის დოკუმენტების ხანგრძლივი ვადით საუკეთესოდ შენახვას.

თანამედროვე საარქივო სისტემა მოიცავს დოკუმენტაციის ძებნის გამარტივებას, ფართის რაციონალურად გამოყენებას, სათანადო კლიმატური პირობების შექმნას, სტანდარტული ბაინდერებისათვის სტაციონალური და მოძრავი სტელაჟების მოწყობას, რომელიც მარტივად, ხელის მოძრავი მექანიზმით, იატაკზე დამონტაჟებულ სპეციალურ რელსებზე გადაადგილდება.

2006 წლიდან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაიწყო არსებული დოკუმენტაციის სკანირება და ელექტრონულ ფორმატში გადატანა. შესაბამისად, ქაღალდის ვერსიის გამოყენება მხოლოდ დოკუმენტის ჩანაწერში ეჭვის შეტანის შემთხვევაში არის საჭირო. ამ შემთხვევაში მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ არა მხოლოდ საჭირო დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატს, არამედ ამ დოკუმენტის ქაღალდის ვერსიას ანუ დედანს და დაადგინონ მისი იდენტურობა. არქივის მშენებლობა 2011 წლის მარტში დასრულდება.

**პრაიმ-ნიუსი**

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუბილარია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ნული სულისკვეთების შენარჩუნება, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი მსახურება, აღზარდა ეროვნული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ჩამოაყალიბა საყოველთაოდ ცნობილი სამეცნიერო სკოლები მათემატიკაში, ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში, ენათმეცნიერებაში, ისტორიაში, აღმოსავლეთმცოდნეობაში. თსუ-მ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მრავალი უმაღლესი სასწავლებლის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნას. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. მას დაეკისრა ერის სულიერებაზე ზრუნვის, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების ისტორიული მისია. მის ძირითად გამოკვეთილ მიზანს კვლავ წარმოადგენს საქართველოში თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, კულტურისა და მეცნიერების განვითარება, ერის ცივილიზაციის დონის ამაღლება. ქართველი ხალხი მას წმინდა ტაძარს უწოდებს.

უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა 1918 წლის 8 თებერვალს (26 იანვარს), საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. მისივე სახელობის ეკლესია უნივერსიტეტის ბაღში 1995 წლის 5 სექტემბრიდან შეუდგა მსახურებას. 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა. უნივერსიტეტის პირველი გამოშვება იყვნენ სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ამირანაშვილი, ლევან (ლევკო) მუსხელიშვილი და შემდგომში გამოჩენილი სხვა მეცნიერები.

მთავარი კორპუსის ოთხსართულიანი შენობა რენესანსული არქიტექტურის მოტივებს ეფუძნება. შენობის ხუროთმოძღვარია პირველი ქართველი არქიტექტორი, რომელსაც აკადემიური განათლება ჰქონდა მიღებული — სიმონ კლდიაშვილი, მშენებლობის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი კი ცნობილი ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ცხვედაძეა. თსუ-ს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში მხატვარ გია ბუღაძის მიერ 2001 წელს შესრულებული მოხატულობაა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე მუზეუმი: ისტორიისა და ქართული ემიგრაციის, მინერალოგიის, გეოლოგია-პალეონტოლოგიის, გეოგრაფიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის. თბილისის უნივერსიტეტში არაერთი საერთაშორისო კონფერენცია და სიმპოზიუმი ჩატარდა. სამეცნიერო მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს და მდიდარი ტრადიციები აქვს კავკასიოლოგიას. თბილისის უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო-პედაგოგიურ ცენტრთან. უნივერსიტეტში არსებობს უცხოელ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საპატიო დოქტორად არჩევის ტრადიცია.

საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში ამერიკელ ექიმს ფრენკ დაგლას ფერისს თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. მედიცინის დოქტორი ფრენკ დაგლას ფერისი სან დიეგოს ჰოსპისთან არსებული პალიატიური მედიცინის ინსტიტუტის საერთაშორისო პროგრამების დირექტორია. ნიუ იორკის ღია საზოგადოების ინსტიტუტის საჯარო ჯანმრთელობის ქსელის პროგრამის საერთაშორისო პალიატიური მზრუნველობის ინიციატივების კონსულტანტი, დოქტორი ფერისი ამჟამად ტორონტოს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო ხელმძღვანელია. დოქტორ ფერისს პუბლიკაციისათვის „პალიატიური მზრუნველობის ჩატარების მოდელი: დაფუძნებული ნაციონალურ პრინციპებსა და პრაქტიკის ნორმებზე“, 2003 წელს დედოფალ ელიზაბეტ II-ის ოქროს მედალი მიენიჭა.

ამერიკელი ექიმის დაჯილდოების პარალელურად კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტმა და საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა ერთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. მემორანდუმს ხელი კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა, თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა ნინო ლაპიაშვილმა მოაწერეს. ხელშეკრულების მიზანია საქართველო□ევროკავშირის ურთიერთობების აქტიურ საკითხებზე საკანონმდებლო და საკონსულტაციო პოტენციალის ორმხრივი გამოყენება. დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენლები ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტის მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამომავლო კვლევებში ექსპერტულ მხარდაჭერას გაუწევენ. ღონისძიებას საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# საქართველოში თანამედროვე ლაბორატორია გაიხსნა

საქართველოში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი და განახლებული ლაბორატორია გაიხსნა, სადაც სოფლის მეურნეობის სექტორში სხვადასხვა სახის ქიმიური ნივთიერებების გამოვლენა და კვლევა მაღალი სიზუსტით იქნება შესაძლებელი.

ლაბორატორიის ბაზაზე დაგეგმილია სტანდარტული ნიმუშების დამზადება იმ პრიორიტეტულ სფეროებში, რომლებზეც ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა. ლაბორატორია კვების სექტორში ხარისხისა და უვნებლობის გაზრდას შეუწყობს ხელს და ყველაზე მეტად ექსპოტრზე ორიენტირებულ საწარმოებს დაეხმარება, რაც მათი პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება. მათ ამ მომსახურების მიღება უკვე საქართველოში შეეძლებათ. ლაბორატორია ევროკომისის პროექტის მხარდაჭერით შეიქმნა.

**პრაიმ-ნიუსი**

# საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის ვადა 5 დღით გაზარდა

ევროვიზიის შიდაშესარჩევ კონკურსზე საბუთების მიღება 10 თებერვლამდე გაგრძელდება.საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის ვადა 5 დღით გაზარდა.

საბუთების მიღება, რომელიც ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, 5 თებერვალს უნდა დასრულებულიყო, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა კონკურსის 10 თებერვლამდე გაგრძელება გადაწყვიტა.

ამ დროისთვის საზოგადოებრივ მაუწყებელში შემოსულია 30 განაცხადი.საზოგადოებრივი მაუწყებელი ყველა საპროდიუსერო ჯგუფს და მომღერალს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ შიდაშესარჩევ კონკურსში.

შემოსული განაცხადებიდან ჟიური საუკეთესოს შეარჩევს და წარადგენს კონცერტზე, რომელიც თებერვლის შუა რიცხვებში გაიმართება.

მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარადგინონ სპეციალურად ამ კონკურსისთვის შექმნილი სიმღერა ქართულ ან ინგლისურ ენაზე, ხანგძლივობა 3 წუთი.ავტობიოგრაფია და ფოტოსურათი.

**პრაიმ-ნიუსი**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი მოწყობილობა; 2. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; 3. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 4. დროის დიდი მონაკვეთი; 5. ტვირთიანი აქლემების მწკრივი უდაბნოში; 7. ქუთაისური ლუდი; 11. ნიადაგის ზედა მყარი ფენა; 15. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 16. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. ძველად სატუსაღო, ამჟამად იმპრესიონისტთა მუზეუმი პარიზში; 20. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 22. ბერძნული ყველი.

**თარაზულად:** 6. ინგლისელი ქიმიკოსი ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. დაბალი რანგის დიპლომატი; 9. შვეიცარელი ფერმწერი; 10. ტორფის მოპოვების ერთ-ერთი ცენტრი ლატვიაში; 12. უმაღლესი მემკვიდრეობითი ტიტული ბრიტანეთში; 13. ხმაურიანი ბრბო; 14. ექიმის, მკურნალის ლათინური სახელწოდება; 19. რაიონი ნიუ-იორკში; 21. შემოკლებული ხელმოწერა, ინიციალები; 23. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 24. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 25. „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული მთარგმნელი ინგლისელი ქართველოლოგი; 26. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფუკუსიმა; 2. გულჩორა; 3. მნათე; 4. გუდვილი; 5. კოპტები; 10. მოძახილი; 11. „ხარისთვალა“; 12. ესკადრა; 15. კლეპსიდრა; 16. სპაზმი; 17. „ქორწილი“; 20. მატიე.

**თარაზულად:** 6. წულრულაშენი; 7. ჰუდზონი; 8. იმერეთი; 9. „წიქარა“; 13. კინო; 14. ნამუსი; 18. მარმელადი; 19. ფობია; 21. ლახტი; 22. თავადი; 23. სირაჯხანა; 24. სპარსეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ამირანი; 2. „ლაკოსტა“; 3. შვეცია; 4. „ბროლა“; 5. დინდგელი; 7. ჩაი; 11. კლოაკა; 15. მენჩიკი; 16. ბესონი; 17. სამბო; 18. ზესხო; 20. ნეონი; 22. ნეტო.

**თარაზულად:** 6. მაზაჩო; 8. სარაევო; 9. პროფანი; 10. რეპლიკა; 12. ბლიცი; 13. ამაგი; 14. ვაპორეტო; 19. კანტონი; 21. მადონა; 23. „ელისი“; 24. აბორტი; 25. ოკლენდი; 26. კოსტიოლი.

# პაკისტანში სკოლის მოსწავლე მკრეხელობის ბრალდებით დააკავეს



ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰიუმან რაითს ვოტჩი“ პაკისტანის ხელისუფლებას მკრეხელობის ბრალდებით დაკავებული მოსწავლის გათავისუფლებისაკენ მოუწოდებს.

17 წლის მუჰამედ სამიულა პაკისტანის სამხრეთით, ქალაქ ყარაჩიში დააპატიმრეს, საგამოცდო სამუშაოს დასრულების შემდეგ.

საგამოცდო კომისიის ხელმძღვანელმა მისი თხზულების შინაარსის გამო პოლიციაში იჩივლა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მოზარდი დააკავეს. მოგვიანებით მისი ნამუშევარი ადგილობრივ სასამართლოში შეისწავლეს და სასამართლომ გამოძიების განმავლობაში მოსწავლის დაკავების გადაწყვეტილება მიიღო.

ამჟამად ეჭვმიტანილი არასრულწლოვანთა დაკავების დროებით ცენტრში იმყოფება.

ჰიუმან რაითს ვოტჩის თანახმად, მოზარდის დაპატიმრება ადამიანის უფლებების დარღვევის ყბადაღებულ მაგალითს წარმოადგენს.

ორგანიზაციის წარმომადგენლების თქმით, პაკისტანი მკრეხელობის საწინააღმდეგო კანონის გამოყენების თვალსაზრისით დიდი ლმობიერებით არც მანამდე გამირჩეოდა, მაგრამ საგამოცდო ნამუშევრის გამო მოსწავლის დაკავება ჰიუმან რაითს ვოტჩის წარმომადგენლებს ნამდვილ საშინელებად მიაჩნიათ.

ორგანიზაციის წარმომადგენლის, ბედ შეპარდის თქმით, ცუდია, რომ სკოლის წარმომადგენელმა ამის შესახებ განაცხადა, მაგრამ ძნელი გასაგებია, თუ როგორ შეიძლება, რომ პოლიციას და სასამართლოს მოხელეებს მსგავს ვითარებაში მოზარდი საპყრობილეში მოეთავსებინათ.

მკრეხელობის შესახებ პაკისტანის კანონები მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოხვდნენ, გასული წლის ნოემბერში ქრისტიან ქალს ასია ბიბის წინასწარმეტყველ მუჰამედის შეურაცხყოფის ბრალდებებით სიკვდილი მიუსაჯეს. ბრალდებული დანაშაულს უარყოფს.

მიმდინარე წლის იანვარში პაკისტანში პენჯაბის პროვინციის გუბერნატორი სალმან ტასირი მოკლეს. იგი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურ პოლიტიკოსად იყო მიჩნეული. ტასირი მისმა პირადმა მცველა მოკლა, რომელსაც მკრეხელობის საწინააღმდეგო კანონების შერბილების მოწოდებით გუბერნატორის გამოსვლა არ მოეწონა.

ამ კანონის მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ მას რელიგიური უმცირესობების წარმომაგენლების შევიწროვების, გარდა ამისა, პირადი ანგარიშსწორების მიზნით იყენებენ.

# ავსტრალიაში ქვინსლენდის შტატს ავსტრალია ციკლონი იასი დაატყდა თავს



ავსტრალიის ხელისუფლები ციკლონ იასის მიერ მიყენებული ზარალის შეფასებას ცდილობენ. ციკლონი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს დაესხა თავს და მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვია.

ქარის სიჩქარე ციკლონში საათში 290 კმ-ს აღწევდა, სახლებს სახურავებს ხდიდა, ხეებსა და ელექტროგადამცემი ხაზების ბოძებს გლეჯდა. ციკლონ იასის ბოლო 100 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერ ციკლონად მიიჩნევენ.

წინასწარი მონაცემების თანახმად, სტიქიური უბედურების შედეგად არავინ დაზარალებულა.

კონტინენტის სიღრმეში ციკლონის გავრცელებასთან ერთად იგი თანდათანობით სუსტდება.

სანაპიროსთან მიახლოების დროს იგი მეხუთე კატეგორიის ციკლონად მიიჩნიეს, რაც მსგავსი სტიქიური მოვლენებისათვის უმაღლესი შეფასებაა. მოგვიანებით მეტეოროლოგებმა მისი სიძლირე ჯერ მეოთხე, შემდეგ მესამე და მეორე კატეგორიამდე ჩამოაქვეითეს. მიუხედავად ამისა, ციკლონი მაინც სახიფათო სტიქიურ მოვლენად ითვლება.

ავსტრალიის იმ რაიონებიდან, სადაც ავარაუდოდ ციკლონს უნდა გაევლოთ, საერთო ჯამში 30 ათასი ადამიანი გახიზნეს. მრავალი ავსტრალიელი ციკლონს საკუთარ სახლებში შეხვდა.

ქვინსლენდის შტატის ხელისუფლების თქმით, ქალაქ ტალის რაიონში დანგრეულია შენობების 90%, მრავალ რაიონში გამორთულია ელექტროენერგია, დაზარალებულ რაიონებში მაშველებმა დაიწყეს მუშაობა.

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ქარი ისეთი ძლიერი იყო, რომ სახლებს ნაფლეთებად აქცევდა. მისი ხმაური რეაქტიული თვითმფრინავის ხმაურს შეადარეს. ქვინსლენდს ციკლონ იასიმდე შტატის ისტორიაში მასშტაბური წყალდიდობები დაატყდა თავს. წყალდიდობა ტროპიკულმა ქარიშხალმა გამოიწვია, რომელიც ავსტრალიის ამ რაიონში გასული წლის ნოემბერში დაიწყო.

# მსოფლიოში სურსათი რეკორდულად ძვირდება

როგორც გაეროს სურსათისა და სასოფლო სამეურნეო ორგანიზაცია აცხადებს, მიმდინარე წლის იანვარში კვების პროდუქტები რეკორდულად გაძვირდა.

გაეროს სასურსათო ორგანიზაციის ფასების ინდექსმა, რომელშიც კვების პროდუქტების 55 სახეობა შედის, 231 პუნქტი შეადგინა, რაც დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით 3.4%-ით მეტია.

იანვარში ინდექსში შემავალი ყველა პროდუქტი გაძვირდა, ხორცის გამოკლებით. ბრინჯის ფასი პირიქით დაეცა, რადგან რიგ ქვეყნებში ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ამ კულტურის მოსავლის აღება დაიწყო.

ამასთან მარცვლეული პროდუქტების ინდექსმა 245 პუნქტს მიაღწია, რაც ხორბალზე ფასის ზრდის მაჩვენებელია. ხორბლის ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორია ავსტრალია, რომელიც ძლიერმა წყალდიდობებმა დააზარალეს.

როგორც ეკონომისტები აღნიშნავენ, ნაწილობრივ ფასების გაძვირებაზე რუსეთმაც მოახდინა ზეგავლენა. გვალვის გამო მარცვლეულის ექსპორტის შეწყვეტის შემდეგ ხორბლის ფასი მკვეთრად გაძვირდა, რაც თავის მხრივ სხვა კვების პროდუქტების გაძვირებას იწვევს.

გაეროს სასურსათო ორგანიზაციის წარმომადგენლების თქმით, პროდუქტის ფასები კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში არ დაეცემა.

2008 წელს სურსათის მკვეთრმა გაძვირებამ რიგ ქვეყნებში საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ღორის და ქათმის ხორცი გაიაფდა, ხორცის ინდექსი 166 პუნქტთან შეჩერდა. ხორცის გაიაფებას გერმანულ ფერმებში, ცხოველების საკვებში დიოქცინის აღმოჩენამ შეუწყო ხელი.

შაქრის სიძვირე მისი მიწოდების პრობლემებთან არის დაკავშირებული. ფინანსისტები შიშობენ, რომ გრიგალი „იასი“ ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით შაქრის ლერწმის პლანტაციებს დააზიანებს და ამის გამო ლონდონის ბირჟაზე თეთრი შაქრის ფასი ტონაზე 835.7 დოლარამდე გაძვირდა.

როგორც ვარაუდობენ, კვების პროდუქტების გაძვირება ალჟირსა და ტუნისში ამასწინანდელი გამოსვლების ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს წარმოადგენდა. მაღრიბის ამ ქვეყნების მღელვარება მეზობელ ეგვიპტესა და იორდანიასაც გადაედო.

მსოფილო ბანკის ხელმძღვანელმა რობერტ ზელიკმა მსოფლიო ლიდერებს კვების პროდუქტების ფასების სტაბილურობისადმი მეტი ყურადღების მიქცევისაკენ მოუწოდა.

# კაიროში მუბარაქის მოწინააღმდეგეებს ცეცხლი გაუხსნეს



კაიროს ცენტრში, ტაჰრირის მოედანზე ეგვიპტის ლიდერის მომხრეებთან გააფთრებული შეტაკებებისას სამი ადამიანი დაიღუპა, 600-ზე მეტი დაშავდა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ხუთშაბათს ღამით აქციის მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნეს. მოედანზე სროლა ორ საათს გრძელდებოდა.

ოთხშაბათს ქალაქის ცენტრალური მოედნისაკენ მუბარაქის მხარდამჭერები გაემართნენ და იქიდან დემონსტრანტების განდევნა მოინდომეს. მოქმედი ხელისუფლების მომხრეები ქვებით იყვნენ შეიარაღებული და აქციის მონაწილეებს ქვებს უშენდნენ. შედეგად გააფთრებული შეტაკებები დაიწყო.

გავრცელებული ცნობების თანახმად, მუბარაქის მომხრეები მედიის თანამშრომლებსაც დაესხნენ თავს. ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებმა მსგავს მოქმედებას ტოტალური ცენზურის შემოღების მცდელობა უწოდეს.

არმია, რომელიც ეგვიპტის ქალაქების ქუჩებში რჩება, მოვლენებში არ ერეოდა, თუმცა ზოგიერთი ჯარისკაცი ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლით ვითარების განმუხტვას ცდილობდა.

ოთხშაბათს ეგვიპტის შეიარაღებულმა ძალებმა საპროტესტო აქციის მონაწილეებს გამოსვლების შეწყვეტისაკენ ოფიციალურად მოუწოდეს.

ეგვიპტეში გამოსვლები უკვე კვირაზე მეტია გრძელდება. სამშაბათს მუბარაქმა, რომელიც ხელისუფლების სათავეში უკვე 30 წელია იმყოფება, განაცხადა, რომ თავის პოსტს მორიგი არჩევნების შემდეგ დატოვებდა და მეექვსე ვადით თავის კანდიდატურას არ წამოაყენებდა.

მიუხედავად ამისა, დემონსტრანტები პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვდნენ. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი პრეზიდენტის სასახლესთან მასობრივი აქციის გამართვას აპირებდნენ.

გაეროს მონაცემებით, ეგვიპტეში მასობრივი გამოსვლების შედეგად უკვე 300-მდე ადამიანი დაიღუპა.

მიმომხილველების თქმით, დაღამებასთან ერთად მოედნის მიმდებარე სახლებიდან საპროტესტო აქციის მონაწილეებს ქვები და ბენზინით სავსე, ცეცხლწაკიდებული ბოთლები დაუშინეს. ეგვიპტის მუზეუმის მახლობლად კოცონები დაანთეს.

ეგვიპტის სიძველეთა საქმეების უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელის, ზაჰი ჰავასის თქმით, ეგვიპტის პრეზიდენტ მუბარაქის წინააღმდეგ მიმართული აქციის დროს მაროდიორებმა კაიროს ცნობილ მუზეუმში 70 ექსპონატი დააზიანეს, თუმცა არც ერთი ექსპონატი არ მოუპარავთ.

ზაჰი ჰავასის თქმით, ყველა ექსპონატი აღდგენას ექვემდებარება. მან ასევე განაცხადა, რომ მუზეუმი სრული გაძარცვისაგან კაიროს მოსახლეობამ დაიცვა.

„ექსპონატები ეგვიპტის ხალხმა დაიცვა“, — განაცხადა მან.

ჰავასის თქმით, მუზეუმის უსაფრთხოებაზე ამჟამად არმია ზრუნავს. გარდა ამისა, მუზეუმს მოქალაქეებიც იცავენ.

დემონსტრანტების ერთი ნაწილი აცხადებს, რომ მუბარაქის მოწინააღმდეგეების ბანაკი პრაქტიკულად ალყაშემორტყმულია და მთავრობის მომხრეები მათ პერიოდულად ესხმიან თავს.

ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ხელისუფლებმა მათ მოწინააღმდეგეებს თავდასხმების ორგანიზებისათვის ფული გადაუხადეს, ჯარისკაცებმა კი ისინი მოედანზე შეუშვეს.

დანამდვილებით ამ განცხადებების ნამდვილობის შესახებ ლაპარკი არ შეიძლება, თუმცა მრავალი უცხოელი ჩინოსანი ამის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

სააგენტო რეიტერის თანახმად, აშშ-ის ადმინისტრაციის ანონიმმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ არეულობის ორგანიზატორები მუბარაქის ლოიალური ძალები არიან, რომლებსაც დემონსტრანტების დაშინება აქვთ განზრახული. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯეიმს კემერონმა არ გამორიცხა, რომ კაიროს ცენტრში ვითარების გამწვავების მიღმა ხელიუფლების წარმომადგენლები დგანან.

გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა კონფლიქტის მონაწილე მხარეებს თავშეკავებისაკენ მოუწოდა და ეგვიპტის „მშვიდობიანი ტრანსფორმაციის“ შესახებ ისაუბრა.

იმავდროულად აშშ-ის ხელისუფლებმა ჰოსნი მუბარაქის რეჟიმის მიმართ პოზიცია გაამკაცრეს და ძალაუფლების გადაცემის პროცესის დაუყოვნებლივ დაწყებისაკენ მოუწოდეს.

თეთრი სახლის პრესმდივნის, რობერტ გიბსის თქმით, პრეზიდენტ ბარაქ ობამას მიაჩნია, რომ ძალაუფლების გადაცემა ახლავე უნდა დაიწყოს.

# ირლანდიამ რუსი დიპლომატი გააძევა

ირლანდიის მთავრობამ გაავრცელა ინფორმაცია ქვეყნიდან რუსი დიპლომატის გაძევების შესახებ. მანამდე გავრცელდა განაცხადება რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლების მიერ აშშ-ში მოქმედი აგენტებისათვის ყალბი ირლანდიური პასპორტების დამზადების შესახებ.

ირლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სამშაბათს განაცხადა, რომ როგორც პოლიციის გამოძიების შედეგად გაირკვა, რუსმა აგენტებმა ექვსი ყალბი პასპორტი დაამზადეს და ამ მიზნით ირლანდიის მოქალაქეების პირადი მონაცემები გაიტაცეს. ირლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში სინანულია გამოთქმული რუსი დიპლომატის გაძევების აუცილებლობასთან დაკავშირებით. განცხადებაში მოხსენიებული არ არის არც ამ დიპლომატის ვინაობა და არც ის ვადა, რა დროშიც მან ქვეყანა უნდა დატოვოს.

გარდა ამისა, განცხადებაში ნათქვამია, რომ ირლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა რუსეთის ელჩს დუბლინში საპროტესტო ნოტა გადასცა. დუბლინში რუსულ ენაზე გამომავალი გაზეთის „ნაშა გაზეტას“ თანახმად, ეს ისტორია გასულ წელს დაიწყო. ამერიკის ხელისუფლების მიერ დაკავებული რუსი აგენტებისათვის ჩამორთმეული პასპორტებისათვის გამოყენებულ იქნა იმ ირლანდიელების მონაცემები, რომლებმაც დუბლინში რუსეთის საელჩოს რუსეთში გასამგზავრებლად ვიზებისათვის მიმართეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

გივი კილასონია, სერგი საჯაია, დავით შონია სამძიმარს უცხადებენ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრს, ბატონ ველოდ მირცხულავას დის

**ლეილა (ივეტა) მირცხულავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**პარასკევი 4 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 03.20** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ტვინი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. **"ფარი"** (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფ. **"დაკითხვა"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00, 19.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"ჩასაფრებული ვეფხვი, უჩინარი დრაკონი"** **01.00** მხ. ფილმი **"ტყუილი და ვერაგობა"** (15)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** პროფილი **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"სად არის ელისა"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"** **00.00** მხ. ფილმი **"დედიკოები"** (18) (დ. კიტონი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** გადაცემა "**105** წუთი" (პირდ.) **22.50** მხ. ფილმი (სუბტ.) **01.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **00.00** სამსონაძეები **00.30** მხ. ფილმი **"ვარსკვლავის დაბადება"** (ჰ. დაფი) (სუბტ.) **02.40** მხ. ფ. **"დამცველი"** (**12**) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფილმი **"სიცილიური კლანი"** (სუბტ.)

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30** სერ. **"სტალინის ცოლი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"ცნობილი ოჯახები"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ამანდა ო"** **19.00** მუსიკა **23.00** სერ. **"სინდისის საკითხი"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** ბიზეს-მარათონი **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"კეთილი ადამიანები"** **13.30** კონცერტი **15.05** მხ. ფილმი **"ნინო"** **16.20** დოკ. ფილმი "მესაზღვრე ბერები" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"მე დავბრუნდები"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.35** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 4 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,8033

ევრო —2,495

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,9259

რუსული რუბლი — 0,0612

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 6-19, ღამით — 9-2

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-15, ღამით — 3-6

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -2-6, ღამით — -16 -1

**ამინდის პროგნოზი 4 თებერვლისთვის**







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.**


## ასტროპროგნოზი 4 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა.**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — ახალი წამოწყება გაამართლებს, იაქტიურეთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი კარგად იქნება. **ქალწული** — საღამო რომანტიკული შეხვედრით დასრულდება. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** — გელით ძვირფასი შენაძენი. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **თევზები** — მოერიდეთ მკვეთრ გამოსვლებს, როგორმე თავი შეიკავეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი; 2. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. ქალაქ ბარსელონას ძველი სახელწოდება; 5. უფოთლო, ეკლებიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 10. მოვლენა, რომელიც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე; 11. მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 12. წუწკი, ღორმუცელა ადამიანი; 15. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი თვალი; 16. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. იტალიელი მხატვარი ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელი; 20. ამბის მომტანი, შიკრიკი.

**თარაზულად:** 6. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 7. ღამის პეპელა; 8. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 9. მატყლით ან ბუმბულით დატენილი მოგრძო ბალიში; 13. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 14. დამატებითი ჯილდო, პრემია; 18. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო ქსელი; 19. ნავსადგური ყირიმში; 21. სხვისი შვილების გამზრდელი; 22. სახელმწიფო ევროპაში; 23. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 24. ფილატელისტის ალბომი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# 2011 წელი მიხეილ თუმანიშვილის წელია



6 თებერვალი ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული დღეა — ამ დღეს დაბადებული არიან გამოჩენილი ქართველი შემოქმედები — მიხეილ თუმანიშვილი, სიკო დოლიძე და მიხეილ ჭიაურელი. სამივე მათგანის ღვაწლი ფასდაუდებელია ქართული კინოსა და თეატრში, თუმცა წელს მიხეილ თუმანიშვილის 90 წლის იუბილეა და ამიტომ მაქსიმალური ყურადღება სწორედ ამ ადამიანის შემოქმედებაზეა მიპყრობილი.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი ამ თარიღთან დაკავშირებით გამოდის ინიციატივით, 2011 წელი მიხეილ თუმანიშვილის წლად გამოცხადდეს. უდიდესი რეჟისორის, პედაგოგისა და თეატრის თეორეტიკოსის იუბილეს აღნიშვნა კი დედაქალაქში 4 თებერვლიდან დაიწყება.

მიხეილ თუმანიშვილმა, როგორც პედაგოგმა, ქართულ თეატრს აღუზარდა არაერთი რეჟისორი და მსახიობი, რომლებიც დღეს ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში წარმატებით მოღვაწეობენ. მისი ღვაწლი და დამსახურება ქართული თეატრისა და ზოგადად ქართული თეატრის განვითარებაში იმდენად დიდია, რომ ერთი ხსოვნის საღამოს ფარგლებში ვერ ჩაეტევა. თუმანიშვილის თეატრის დასსა და რეჟისორის მოწაფეებს გადაწყვეტილი აქვთ, მთელი წლის განმავლობაში მაესტროს უკვდავ-

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**

## იუმორი



— სირაქლემები ქვიშაში თავს კი არ მალავენ, ასე უკანალს გვიჩვენებენ...

***

— რაც უფრო მოკლეა კაბა, მით უფრო მეტ ნაკლს ფარავს...

***

— მართლა ბავშვს ელოდები?
— ექიმმა ასე მითხრა.
— ვისგან?
— ექიმს ეგ არ უთქვამს.

***

პატარა გოგონა მაღაზიაში მოლარეს მიმართავს:

— გუშინ, ხურდას რომ მაძლევდით, ორი ლარით შეცდით.

— თუ ასეა, მაშინვე უნდა გეთქვა, — თავაზიანად პასუხობს გამყიდველი, — ახლა უკვე გვიანია რაიმეს გამორკვევა.

— კარგი, თუ ასეა, ჩემთვის დავიტოვებ...

***

მამა ქალიშვილს ეკითხება:

— აბა, ერთი მითხარი, შენს ახალ შეყვარებულს რამდენი აქვს შემოსავალი?

— მამიკო, ეს უხამსი შეკითხვა მანაც დამისვა, ოღონდ შენი და დედიკოს შესახებ...

**გ.თ.**

# ახალგაზრდულ ნაკრებს კენჭის მაგივრად ლოდი ესროლეს




შვეიცარიის ქალაქ ნიონში 21-წლამდელთა 2013 წლის ევროშესარჩევი ციკლის კენჭისყრა გაიმართა.

წინასწარვე ცნობილი გახდა, რომ ერთ ჯგუფში ვერ მოხვდებოდნენ რუსეთი და საქართველო, ისევე, როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი. უეფამ ეს პოლიტიკური მოტივით ახსნა. სხვათა შორის, რუსეთი და საქართველო ეროვნულ ნაკრებთა შესარჩევი ტურნირის კენჭისყრასაც (ევრო-2012) დააშორეს ერთმანეთს.

ევრო-2013-ის ფინალური ეტაპი ისრაელში გაიმართება და მასპინძლები გათავისუფლებული არიან შესარჩევისგან. შესარჩევში 52 ნაკრები ითამაშებს, რომლებიც 10 ჯგუფად განაწილდებიან (ორი ექვსგუნდიანი და დანარჩენი ხუთგუნდიანი), გამარჯვებულები და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი (ანუ 14 გუნდი) ფლეი-ოფში გავა და შინ-სტუმრად მატჩებით გაირკვევა ის შვიდეული, რომლებიც ისრაელს დაემატებიან.ოთარ გაბელიას შეგირდები, რომლებიც მე-4 კალათში იყო განთავსებული, მე-5 ჯგუფში მოხვდა. ჩვენი მეტოქეები იქნებიან ესტონეთის, ხორვატიის, შვეიცარიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები.

ვერ ვიტყვით, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს გაუმართლა. ესპანელები ამ ასაკში უდავო ფავორიტები არიან, ხოლო შვეიცარიისა და ხორვატიის ეროვნული გუნდები არანაკლებ წამყვან ტონს იძლევიან ევროპაში.

აღსანიშნავია, რომ ესტონელი და შვეიცარიელი თანატოლები ჩვენი მეტოქეები იყვნენ 2011 წლის 21-წლამდელთა ევროშესარჩევ ეტაპზეც, ესპანელებთან ურთიერთობას 2009 წლის ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვარკვევდით, ხოლო ხორვატიის დიდი ნაკრები საქართველოს მეტოქეა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში.

**მ. ჟ.**

# ნიკო ფიროსმანის საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი ტილო საზღვარგარეთ გატანას გადაურჩა



ნიკო ფიროსმანის საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი ტილო „მამალი და კრუხ-წიწილა" საზღვარგარეთ გატანას გადაურჩა.მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს დამნაშავეთა ჯგუფის წევრები, რომლებმაც ტილო კერძო კოლექციონერისგან შეიძინეს და მის საზღვარგარეთ გაყიდვას ცდილობდნენ.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებასთან ითანამშრომლა საქმის მონაწილე ერთ-ერთმა პირმა, რომლის მეშვეობითაც დაიგეგმა ე.წ. შეხვედრა ნახატის შესაძენად. მისი გასაყიდი ფასი ჯგუფის წევრებმა ნახევარი მილიონი დაასახელეს, თუმცა შემდეგ ეს თანხა 150 ათას აშშ დოლარამდე შეამცირეს. ისინი თავადაც არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ორიგინალს ყიდდნენ.

ექსპერტიზამ სურათის ნამდვილობა დაადასტურა და ის უკვე გადაეცა ეროვნულ მუზეუმს.

**პრაიმ-ნიუსი**

## გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა — ტესტი



***ტესტის პასუხებს დადებითი ან უარყოფითი პასუხები გაეცით***

1. ყოველთვის ვიცი, რას მოვიმოქმედებ, თუ ბედმა მიმტყუნა.
2. დარწმუნებული ვარ, რომ საქმე პირველი ცდით არ გამოვა, მეორით აუცილებლად გამოვა.
3. აზარტში შესულიც კი თავს გინების უფლებას არ ვაძლევ.
4. წარუმატებლობის შემდეგ კიდევ უფრო მობილიზებული ვხდები.
5. ყოველთვის დეტალურად მაქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა ვიმოქმედო, რომ არ დავმარცხდე.
6. არ მომწონს უგრძნობელი ადამიანები, რომლებსაც არ აღელვებთ სხვისი მარცხი.
7. როდესაც მიჭირს, საკუთარ თავს ვეუბნები „მადლობა თქვი, უარესი რომ არ დაგემართა".
8. გამარჯვება მიხარია.
9. მიმაჩნია, რომ მოგება ბანქოში შემთხვევის საქმეა.

**პასუხები** *დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

**0-3 ქულა:** თქვენ აქტიურად ეძებთ პრობლემებს, ან თავად იქმნით მათ. საკუთარი ძალების გარდა ყველაფრის იმედი გაქვთ, მთავრობით დაწყებული და ზებუნებრივი ძალებით დამთავრებული.

**4-6 ქულა:** თქვენ იმ ადამიანების კატეგორიას განეკუთვნებით, რომლებიც ნებისმიერი საზოგადოების დასარყდენს შეადგენენ. შესანიშნავი მუშაკი ხართ, ხელმძღვანელობისადმი ლოიალურად განწყობილი. როგორც წესი, არ ისახავთ მიზნებს, რომლის მიღწევაც არ შეგიძლიათ.

**7-9 ქულა:** რეალურ მიზნებს ისახავთ და ყოველთვის უფრო მეტს აღწევთ. ახერხებთ წარუმატებლობისგანაც კი სარგებლობის მიღებას. ახერხებთ გამარჯვებისაკენ მიმავალი მოკლე გზის მოძებნას.

**გ.თ.**